



რატი კობახიძე

გამჭოლი პასუხისმგებლობა ქართული და გერმანული
სამართლის მიხედვით

წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, რატი კობახიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____ (რატი კობახიძე)

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი რატი კობახიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: გამჭოლი პასუხისმგებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: _____ (ლაშა ცერცვაძე)

თარიღი :

რეზიუმე

ნაშრომში „გამჭოლი პასუხისმგებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“, განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების მიმართება, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმასთან, დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან და მისი ეკონომიკური ანალიზი.

ტექსტში ასევე საუბარია კრედიტორებზე გამჭოლი პასუხისმგებლობისას, მათ სახეებზე და განსხვავებებზე. ასევე კორპორაციული საფარველის გარღვევის მიზნებზე.

ასევე განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები და მათი გამოყენების სპეციფიკა როგორც გერმანიის ასევე საქართველოს სამართლის მიხედვით.

ნამსჯელია ასევე კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სპეციალურ მოწესრიგებაზე, როგორც საკონცერნო სამართლის პირობებში ასევე დელიქტური ურთიერთობისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული უმეტესად საქართველოს სამართლის სისტემის ხარვეზებსა და მის გამოსწორების გზებზე, როგორც კონკრეტული იმპერატიული ნორმების შექმნის გზით ასევე, სასამართლო პრაქტიკის სწორად ჩამოყალიბით. ქართული კანონმდებლობის იმგვარი ჰარმონიზაციითა და ეროვნული პრაქტიკისა თუ გამოცდილების გამოყენებით, რომ საფრთხე არ შეექმნას დღევანდელ რეალობაში მოქმედ ეკონომიკურ წესრიგსა და მასში არსებულ დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებს, კორპორაციების სახით.

Abstract

In the thesis - “**Piercing the corporate veil by German and Georgian law**”, there is discussed the relation of using the doctrine on pass-through liability with the legal form of limited liability, independent legal entities and its economical analysis.

In the text there is also discussed the creditors with pass-through liability, and their types and differences as well as the purposes of tearing up the corporation veil.

Also there is discussed the basics of using the pass-through liability and specificity of its using in accordance with the law of Germany and Georgia.

There is also reviewed the special arrangements of corporation veil pass-through as within the concerned circumstances of the law so upon the delictual relationship.

Proceeding from the aforementioned in the present thesis the attention is mainly drawn to the flaws of the Court System of Georgia and the ways of their improvement as by means of creating the specific imperative norms so by correctly forming the court practices with such harmonization and national practices or experiences of the Georgian Legislation in order not to endanger the economical order and independent legal entities as corporations existing in it.

შესავალი -----	9
ლიტერატურის მიმოხილვა -----	12
თავი I	
1. შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა -----	14
1.1. კორპორაციული საფარველი -----	17
1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის მიმართება დამოუკიდებელ სამართლასუბიექტობასთან და მისი ეკონომიკური გამართლება -----	18
2. შუალედური დასკვნა -----	21
თავი II	
1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა -----	22
1.1 კრედიტორები	
1.1.1 სახელმწიფო როგორც კრედიტორი კანონისმიერი ურთერთობისას საქართველოს სამართლის სისტემაში (უმეტესად საგადასახადო დავალიანებისას გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში) -----	24
1.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნები -----	28
1.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის გავლენა დამოუკიდებელ სამართლასუბიექტებზე -----	29
2. შუალედური დასკვნა -----	30
თავი III.	
1. გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოსა და გერმანიის სამართალში -----	32
1.1 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ -----	34
1.2 საქართველოს სასამართლო პრაქტიკა -----	36
1.3 ინსტრუმენტალობის თეორიის სამსაფეხურიანი სტანდარტი --	39
1.4 ალტერ ეგოს თეორიის ორსაფეხურიანი სტანდარტი -----	41
1.5 დეკაპიტალიზაცია (გერმანიის სამართლის მიხედვით) -----	43
1.6 კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა (გერმანიის სამართლის მიხედვით) -----	45
1.7 კორპორაციის ქონებისა და პარტნიორის ქონების აღრევა (გერმანიის სამართლის მიხედვით) -----	47
2. მტკიცების ტვირთი -----	48
3. შუალედური დასკვნა -----	50
თავი IV.	
1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სპეციალური მოწესრიგება გერმანიაში -----	52
1.1 საკონცერნო სამართალი -----	52
1.1.1 სახელშეკრულებო კონცერნი -----	54
1.1.2 დე-ფაქტო კონცერნი -----	55
1.1.3 კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი -----	56
1.2 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა დელიქტური პასუხისმგებლობისას -----	58

1.3 “Culpa in contrahendo-ს” დოქტრინა -----	60
2. შუალედური დასკვნა -----	62
დასკვნა -----	63
გამოყენებული ლიტერატურა	

აბრევიატურათა ნუსხვა

ქართულ ენაზე:

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ა.შ	ასე შემდეგ
ი.ხ	იხილეთ
სხვ.	სხვა
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შესავალი:

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს, გერმანიისა და საქართველოს სამართლის სისტემაში ჩამოყალიბებული დოქტრინის „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საფუძვლების კვლევა, კონკრეტულად კი არსებული ხარვეზების (უმეტესად საქართველოს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინაში) გამოსწორების გზის პოვნა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია თანამედროვე საზოგადოებისთვის. აღნიშნული სამართლებრივი ფორმა აძლევს საშუალებას ფიზიკურ პირებს, დაიწყონ ეკონომიკური საქმიანობა ისე, რომ მათ პირად ქონებაზე კრედიტორებს ხელი არ მიუწვდეთ. ეს ყველაფერი კი საკორპორაციო სამართალში მოქმედმა პრინციპებმა („კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობა“ და „პასუხისმგებლობის შეზღუდვა“) განაპირობა. მათი მეშვეობით კაპიტალური საზოგადოებებისთვის ე.წ. „კორპორაციული მოსასხამი“ იქმნება.¹

დროთა განმავლობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის შექმნამ საზოგადოებაში გარკვეული პრობლემები გამოიწვია. ხდებოდა მისი ბოროტად გამოყენება, რის შედეგადაც ზიანდებოდნენ კრედიტორები. აღნიშნულმა მდგომარეობამ აუცილებელი გახდა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინის ჩამოყალიბება. შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობა აღარ წარმოადგენდა აბსოლუტურ უფლებას და რიგ შემთხვევებში შესაძლებელი გახდა მისი გარღვევა (გაჭოლვა).

¹ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულ ში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ელიზბარა ჯვილი ნ. (რედ.), თბ., 2009, 236.

მე-20 საუკუნეში კაპიტალისტური ტიპის სახელმწიფოებმა საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვეს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმასთან მუშაობის, ასევე მისი გარღვევის (გაჭოღვის) განხრით. რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე, რომელიც იმ დროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წევრი იყო და უწევდა აღნიშნულ რეალობაში არსებობა. არ არსებობდა კერძო საკუთრება, შესაბამისად არ არსებობდა მასთან დაკავშირებული რეგულაციები და გამოცდილება.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიეცა საქართველოს შესაძლებლობა, ელიარებინა კერძო საკუთრება და ჩამოეყალიბებინა მასთან დაკავშირებული ნორმები.

გერმანელი სპეციალისტების დახმარებით დაიწყო მუშაობა როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე მეწარმეთა შესახებ კანონის შექმნაზე.²

ამის შემდეგ ეტაპობრივად ვითარდებოდა როგორც სამეწარმეო საქმიანობა, ასევე მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები. 1991 წლის 25 ივლისს შეიქმნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, 1992 წელს „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ“, ხოლო 1993 წელს „შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ“ აქტები. ხოლო დაგროვილი გამოცდილების გაერთიანების შედეგად 1994 წელს მიიღეს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი“, რომელიც დღემდე ვითარდება.³

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში (მათ შორის „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“) გერმანელ სპეციალისტებს დიდი წვლილი მიუძღვით, ზემოაღნიშნული კანონი არ არის ცალსახად გერმანული მოდელის იდენტური. მასში მოხვედრილია ამერიკული სამეწარმეო სამართლის პრინციპები. შესაბამისად

² ჭანტურია ლ., კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996, 33-34.

³ ბურდული ი., სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007, 61-62.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ შერეული ტიპისაა და მოიცავს როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ნორმებსა თუ პრინციპებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მწირი გამოცდილება ჰქონდა კერძო სამეწარმეო საქმიანობაში, არსებული მდგომარეობა აისახა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე. მასში ბევრი საკითხია ღიად დარჩენილი და პასუხგაუცემელი, ნაკლოვანების გამოსწორებას ვერც სასამართლო ახერხებდა ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნით. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ⁴„პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული ჩანაწერი არ არსებობს კანონში, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს ბოროტად გამოყენებად, ან რა კრიტერიუმებით უნდა შეფასედეს. არსებულ საკითხთან დაკავშირებით აზრი ორად იყოფა, ერთი მხრივ, კონკრეტული ჩანაწერი არ უნდა არსებობდეს, რადგან კანონი ვერ განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების ყველა შემთხვევას (არსებული მოსაზრება ამერიკულ მოდელთან არის თანხვედრაში, რადგან სასამართლოს უტოვებს პრეროგატივას თავად განსაზღვროს (განმარტოს) ბოროტად გამოყენების არსი), ხოლო, მეორე მხრივ, კანონი მინიმალურ მონახაზს უნდა იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება ბოროტად გამოყენებაში, რათა ნორმის წაკითხვის დროს შესაძლებელი იყოს მისი როგორც გრამატიკული, ისე ისტორიული და ტელეოლოგიური განმარტება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, რადგან დღეს საქართველოში არსებულ თემასთან დაკავშირებით მასალისა და კვლევების სიმცირეა. ხოლო ჩემი ნაშრომი წარმოადგენს დოქტრინის „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დახვეწის,

⁴ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი

ჰარმონიზაციის მცდელობას კონტინენტური ევროპის (უმეტესად გერმანიის) სამართალთან.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემული ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე როგორც ნორმატიული მასალა, კერძოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვა. ასევე ქართული და უცხოენოვანი ნაშრომები-მასალები.

მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ჩემი ნაშრომის ჩამოყალიბებისთვის; ჭანტურია ლ., კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული,

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002

ბურდული ი., სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007.

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბ., 2010

აღნიშნულ ნაშრომებში საუბარია საკორპორაციო და სავაჭრო სამართლის საწყისებზე მის განვითარების ფაზებზე. აღნიშნული თემები მნიშვნელოვანი იყო იმ ახალი მიმართულებების კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად რომლებიც განხილულია ნაშრომში.

ლ.ცერცვაძე დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას.

ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016

1996 მახრობლიშვილი გ., მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2012,

მახარობლიშვილი გ., კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited Liability) და კორპორაციის საფარვლით (EntityShielding) დაცულობა, საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016.

ჭანტურია ლ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადოდარღვევისათვის — სამოსამართლო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლოპრაქტიკაში, ზარანდია თ. (რედ.), თბ., 2016.

თ.მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში. სამართლის ჟურნალი N2 ი.ბურდულის რედაქტორობით 2018

მოცემული ნაშრომები დამეხმარა გამეაზრებინა შეზღუდული სამართლებრივი ფორმისა და მისი გაჭოლვის არსი, მათი დამოკიდებულება ერთმანეთთან, ასევე მათი გავლენა დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე, ეკონომიკასა და სამოქალაქო ბრუნვაზე.

Uniform Limited Liability Company Act, 12/07/1995.

Alting C., Piercing the Corporate Veil in American and German Law — Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law.

Görtz M., The Federal Court of Justice’s Concept for Piercing the Corporate Veil due to Destruction of a German Limited Liability Company, Client Newsletter, № 9, 2007.

აღნიშნული მასალა დამეხმარა გავცნობოდი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საკორპორაციო სამართლის პრინციპებს, საზღვარგარეთ მოქმედ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის მოქმედების თავისუფებებებს, მისი გაჭოლვის საფუძვლებს და სასამართლო პრაქტიკას აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით.

თავი I

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შ.პ.ს) შექმნას საფუძვლად დაედო მანამდე მოქმედი ბიზნესსუბიექტების არსებობა, რომლებსაც ერთი შეხედვით კლასიკური შ.პ.ს-ს მახასიათებლები გააჩნდათ. კლასიკური შ.პ.ს-ს წარმომავლობას გერმანიამდე მივყავართ, 1892 წელს გერმანულმა საკანონმდებლო სისტემამ სისრულეში მოიყვანა „შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის“ (Gesellschaft mit beschränkter Haftung(GMBH)) კონცეფცია, რომელიც თანამედროვე შ.პ.ს-ს ვარიაცია იყო.

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივმა ფორმამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს ევროპაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. 1940-იან წლებში საფრანგეთში საბოლოოდ დაიხვეწა და გავრცელდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოდელი. აღნიშნული ფორმა მეტად გამოყენებადი გახდა, ვიდრე ძველი ტრადიციული კორპორაცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის ადრეული ნიშნები მხოლოდ გერმანიაში არ გაჩენილა, ჯერ კიდევ 1874 წელს პენსილვანიის შტატმა უფლება მოიპოვა შეექმნა შეზღუდული პარტნიორობის ასოციაცია. 1875 წლისთვის მიჩიგანის, ნიუ ჯერსის, ოჰაიოსა და ვირჯინიის შტატებმა შექმნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის მოდელი, მას შემდეგ რაც პრაქტიკამ აჩვენა თუ როგორი პოპულარობით სარგებლობდა ის

პენსილვანიის შტატში. აღნიშნული შტატები წარმოადგენდნენ კომერციულ ეპიცენტრს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, შესაბამისად სხვა ნაკლებად აქტიურ შტატებში შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის მოდელი არ გამოიყენებოდა. სახესხვაობამ თანდათანობით პოპულარობის დაკარგვა დაიწყო.

1977 წელს უიომინგის შტატმა გადაწყვიტა დახმარებოდა ძველი შეზღუდული პარტნიორობის ასოციაციის შექმნის მცდელობას და შტატში შეიქმნა პირველი აქტიური შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. უიომინგის შტატმა შექმნა განახლებული შ.პ.ს-ს მოდელი გერმანიისა და პანამის შტატის მაგალითზე. სწორედ, უიომინგის შტატის დამსახურებით შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა იცავს პარტნიორს შ.პ.ს-ს კრედიტორებისგან და პირიქით შ.პ.ს-ს პარტნიორის კრედიტორებისგან.

1982 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის გავრცელების არეალი გაიზარდა და მოიცვა ვაშინგტონი, რომელსაც მოჰყვა ფლორიდის შტატი. იმის გათვალისწინებით, რომ შ.პ.ს იყო ჰიბრიდული წარმონაქმნი გაურკვეველი და დაუზუსტებელი იყო კორპორაციასა და პარტნიორს შორის გადასახადების გადახდის საკითხი. ჩნდებოდა კითხვა, ყოველივე ამის შემდგომ სურდათ თუ არა შეექმნათ ისეთი სუბიექტი რომლისთვისაც ბუნდოვანი იყო გადასახადის გადახდის ფორმა.

ჩამოყალიბდა შემდეგი გადახდის წესი, მოგება და ზარალი მიემართებოდა თითოეულ პარტნიორზე პირდაპირ და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ამგვარად გადასახადს იხდიდნენ პარტნიორები მიღებული მოგების პროპორციულად, ხოლო შ.პ.ს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი საგადასახადო სისტემისთვის არ არსებობდა.

შტატებმა თავად დაიწყეს შ.პ.ს-თვის საგადასახადო კანონმდებლობის მორგება. ამრიგად, დროთა განმავლობაში კომპანიები საგადასახადო

სამართლისთვის გახდნენ პარტნიორებისგან დამოუკიდებელი სუბიექტები.⁵

1987 წელს ლორდთა პალატამ სასამართლო პრაქტიკით განამტკიცა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის არსებობა. გადაწყვეტილება *Salomon v A Salomon & Co Ltd*⁶ 1987 წელს იქნა მიღებული. სალომანი წარმოადგენდა ებრაული ტყავით მოვაჭრეს, რომელიც ფეხსაცმელებს აწარმოებდა. მან ბიზნესის უკეთ სამართავად შექმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, სადაც პარტნიორები იყვნენ მისი მეუღლე და შვილები. გარკვეული პერიოდის შემდეგ კომპანია გაკოტრდა და კრედიტორების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. შესაბამისად კრედიტორებმა სალომანს ვალის გადახდა მოთხოვეს პირადი ქონებით პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სალომანის კომპანია იგივე სალომანია უბრალოდ კომპანიის ფორმით. სააპელაციო სასამართლომ არ შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და თქვა, რომ საქმე ეხებოდა თაღლითობას და სალომანი კომპანიას იყენებდა კრედიტორების მოტყუების საშუალებად. ინგლისის ლორდთა პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ კომპანია იყო დაფუძვნიებული სამართლის ნორმათა დაცვით. შესაბამისად თაღლითობას ადგილი არ ჰქონია და სალომანი წარმოადგენდა კომპანიისგან დამოუკიდებელ სუბიექტს. შესაბამისად, პირადი ქონებით არ აგებდა პასუხს იმ ვალდებულებებზე რომელიც წარმოშობილი იყო დირექტორული ვალდებულების შესრულებისას.⁷

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ინგლისის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა, მისი ფარგლები და იურიდიული პირის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, რაც თავისთავად საფუძველი გახდა აღნიშნული ფორმის პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებით ნათელი გახდა ის

⁵ The Birth of the Limited Liability Company (LLC) By Jennifer Reuting

⁶ *Salomon v A Salomon & Co Ltd* [1897] AC 22

⁷ Richards D. piercing the corporate veil: supreme court clarifies the English law position 2013.

ფაქტი, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა დაუშვებელია გარკვეული ობიექტური გარემოებების გარეშე. ობიექტური გარემოებების არსებობა კი თავის მხრივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებული ფორმა (უფლება) შეზღუდული პასუხისმგებლობისა არ არის აბსოლუტური.⁸

1.1. კორპორაციული საფარველი

კორპორაციული საფარველი უმნიშვნელოვანესი რამ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინაში. მისი მეშვეობით პარტნიორი დაცული არის კომპანიის ვალდებულებებისგან.

კორპორაციული საფარველის შექმნა უკავშირდება საკორპორაციო პრინციპების არსებობას კერძოდ, „კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა“, (აღნიშნული პრინციპი განაცალკევებს კომპანიას და პარტნიორს როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს, ნებისმიერ ურთიერთობაში იქნება ეს კერძო სამართლებრივი ურთიერთობა თუ საჯარო სამართლებრივი), „პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი“ (აღნიშნული პრინციპი ანცალკევებს კომპანიისა და პარტნიორის პასუხისმგებლობას). ზემოაღნიშნული პრინციპების ურთიერთქმედებამ თავისმხრივ საჭირო გახადა „ქონების დემარკაციის პრინციპის“ წარმოქმნა, რომელიც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლეოდა განცალკევებულიყო კომპანიისა და პარტნიორის ქონება.

თავის მხრივ სამივე პრინციპის თანხვედრამ გამოიწვია კორპორაციული საფარველის შექმნა. კორპორაციული საფარველის მოქმედებს ორი

⁸ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, 40.

მიმართულებით, ის პარტნიორს იცავს კომპანიის კრედიტორებისგან და პირიქით, კომპანიას იცავს პარტნიორის კრედიტორებისგან.⁹

გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს საშიშროება კორპორაციული საფარველი იქნეს გამოყენებული ბოროტად, სამართალმა განავითარა რიგი მექანიზმები, რომელთა მიზანია შეზღუდოს კორპორაციული საფარველით სარგებლობის პრივილეგია იმ შემთხვევაში თუ ეს სარგებლობა ეწინააღმდეგება სამართალს ან სამართლიანობას.¹⁰

1.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის

მიმართება დამოუკიდებელ

სამართალსუბიექტობასთან და მისი ეკონომიკური

გამართლება

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ განსაზღვრავს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, რადგან ამხანაგური ტიპის საზოგადოებებიც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებად მიიჩნევიან, მაგალითად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა არ წარმოადგენს უპირობო ინსტრუმენტს და მისი უგულებელყოფა შესაძლებელია ყველა განვითარებულ თუ განვითარებად სამართლის სისტემებში. აღნიშნულია გამომდინარეობს იქიდან, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ხშირად გამოიყენება ბოროტად კრედიტორებზე ზიანის მიყენების მიზნით.

⁹ Hansmann, Kraakman, Squire, law and rise of the firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1337.

¹⁰ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ.17

შესაბამისად აუცილებელი გახდა პრევენციული მექანიზმის შექმნა და გამოყენება.¹¹

მიიჩნევა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა არ წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას, აპრობირებულია ასევე პასუხისმგებლობის დაზღვევის მეთოდი, შესაბამისად ამხანაგური ტიპის საზოგადოებებშიც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც ეფექტიანს ხდის პირადი პასუხისმგებლობის დაცვას, ჩამოშორებას კორპორაციის ორგანიზაციული მოქმედებებისა თუ ვალდებულებისთვის.¹²

აღსანიშნავია ისიც, რომ ისევე როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა, არც პასუხისმგებლობის დაზღვევაა სრულყოფილი მექანიზმი, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია არ მოხდეს დაზღვეული საგნის განადგურებით ან სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, ¹³რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 842-ე მუხლის განსაზღვრებით და სადაზღვეო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპზე დაყრდნობით, ზიანი რომელიც გამოიწვია პირის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართებაა მისი ეკონომიკური გამართლება. სწორედ ამიტომ ის ხდება იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მსჯელობის საგანი, კერძოდ კი გამოიყოფა ორი მიმართლება. პირველ შემთხვევაში ეს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ურთიერთმიმართება სახელშეკრულებო კრედიტორების მიმართ, თუ რა გავლენას ახდენს ნახსენები მიმართება კორპორაციისა თუ კრედიტორების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. პროფესორ რიჩარდ პოლზენი რომელიც ახორციელებდა სამართლის

¹¹ Herting, Kanada, Creditor Protection, in: The Anatomy of Corporate Law, A Comparative and Functional Approach, 2004.93.

¹² Halpern, Tribelrlock, Tunbull, An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, 30 U.Toronto L.J.,117.1980.138

¹³ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ გვ 60

ეკონომიკურ ანალიზს, გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელშეკრულებო კრედიტორებს მეტი შესაძლებლობა აქვთ მატერიალური ზიანის პრევენციის კორპორაციებთან ურთიერთობისას, ისინი საშუალებასმოკლებულნი არ არიან გამოიკვლიონ კორპორაციის კაპიტალიზაციის მდგომარეობა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები.¹⁴ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პოზნერმა ჩამოაყალიბა მიმართება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა სახელშეკრულებო კრედიტორებისთვის არ წარმოადგენდა მომეტებულ რისკს და გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ იყო.¹⁵

ნახსენები მოსაზრება არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც გამოსაყენებლად სავალდებულო წესი, რადგან გამჭოლი პასუხისმგებლობა ასევე მოიაზრებს იმ შემთხვევას, როდესაც სახელშეკრულებო კრედიტორი შეცდომაში იქნა შეყვანილი არამართლზომიერად კორპორაციის კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებით შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ სახელშეკრულებო კრედიტორს აქვს საშუალება მოახდინოს ზიანის პრევენცია ხელშეკრულების გაფორმებამდე, შესაბამისად გამჭოლი პასუხისმგებლობის მტკიცებისას მას უფრო საფუძვლიანად უნდა მოიწიოს იმის მტკიცება, თუ რა გარემოებების გამო შევიდა შეცდომაში და რომ ეს გარემოებები ხელშეკრულების გაფორმების მომენტში დაფარული იყო კორპორაციის არაკანონიერი ქმედებებისდა გამო.

ხოლო რაც შეეხება მეორე მიმართულებას რომელიც ხშირი კვლევისა და განსჯის საგანი ხდება, წარმოადგენს კორპორაციის მონიტორინგის ხარჯების შემცირებას, რაც გულისხმობს შემდეგს. პროფესორ ფიტჩელისა და ისტერბურჯის აზრით შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირობებში, პარტნიორების მხირდან განხორციელდებოდა რეპრესიული კონტროლი

¹⁴ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition 50

¹⁵ Posner, The Rights of Creditors of Affiliated Corporation, The university of Chicago Law Review, Vol.43. No 3, 1976,503.

როგორც კორპორაციის ასევე მისი მენეჯმენტის.¹⁶ აღნიშული ქმედება თავის მხრივ გამოიწვევდა მონიტორინგის ხარჯების ზრდასა და კორპორაციის ფუნქციონირების შეფერხებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახებოდა კორპორაციის ფუნქციონირებაზე, შეფერხდებოდა ინვესტირება, რაც თავისმხრივ შეანელებდა ეკონომიკური ბრუნვის ზრდას.¹⁷

ხსენებული ორი გარემოება საერთო ჯამში დადებითად მოქმედებს კორპორაციაზე, რადგან ორივე შემთხვევაში ხდება ხარჯების შემცირება და ჩნდება შესაძლებლობა ინვესტიციების დივერსიფიკაციის, რაც თავისმხრივ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კორპორაციის კაპიტალის გასაზრდელად.¹⁸ გარდა ამისა კორპორაციის მენეჯმენტის თავისუფალი მოქმედების პირობებში ყოფნა, გზას უხსნის რისკისშემცველი გადაწყვეტილებებისა მიღებასა და კონტრაქტების გაფორმებას, რაც ბიზნესის მართვის განუყოფელი ნაწილია, სწორედ ასეთი გადაწყვეტილებების ხარჯზე ხდება მოგების მიღება და კორპორაციისთვის არსებობის შენარჩუნება.

საერთო ჯამში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური ანალიზი ეფუძვნება, საწარმოს უნარს გადააკისროს რისკები კრედიტორებს. ¹⁹ამ გაგებით აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს კორპორაციის რისკების დაზღვევის მექანიზმს, კრედიტორზე პასუხისმგებლობის გადაცემით.²⁰

2. შუალედური დასკვნა

¹⁶ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 ed.50

¹⁷ Easterbrook, Fischel, Limited Liability and the Corporation, University of Chicago Law Review 1985,96-97.

¹⁸ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 ed.50

¹⁹ Sommer, Subsidiary: Doctrine without a Cause? Fordham Law Review, Vol.59 Issue 2, Art.2, 1990, 230.

²⁰ ²⁰ Sommer, Subsidiary: Doctrine without a Cause? Fordham Law Review, Vol.59 Issue 2, Art.2, 1990, 230.

შუალედური დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია როგორც ეკონომიკურად აქტიური საზოგადოებისთვის ასევე სახელმწიფოსთვის. აღნიშნული ფორმის არსებობამ მეტად განავითარა ბიზნესი და მარტივი გახადა ისეთი საკვანძო და ეკონომიკურად საშიში გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა მეშვეობით კორპორაციები იღებენ მოგებას და ზრდიან კაპიტალს, ხოლო სახელმწიფო იღებს გაზრდილ გადასახადებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შეზღუდული სამართლებრივი ფორმის შენარჩუნება და მოფრთხილება, რადგან მისი უგულვებელყოფის შემთხვევაში, აზრი დაეკარგება როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას ასევე ნახსენები ფორმით, ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს კორპორაციათა პარტნიორების მიერ საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის შეკავებას, ეკონომიკური აქტიურობის დაცემას და ბიზნესსუბიექტების გაქრობას.

თავი II

1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა

როგორც აღინიშნა კორპორაციული პრინციპების შედეგად მიღებული კორპორაციული საფარველი უპირობო არ არის. მისი ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პარტნიორის წინააღმდეგ მოქმედებს დამცავი საფარველის გაჭოლვის წესი; გერმანიაში გავრცელებული როგორც Durchgriffshaftung, ხოლო ამერიკაში როგორც piercing the corporate veil დოქტრინის სახელით რომლის პირდაპირი თარგმანი არის

„კორპორაციული ფარდის გაჭოლვა“.²¹ ასევე გამოიყენება ტერმინი შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა²²

გამჭოლი პასუხისმგებლობა თავისთავად არსებობდა ევროპის ტერიტორიაზე მაგრამ მის განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაწერენ. რადგან აღნიშნული დოქტრინის გამოყენება აშშ-ში საგრძნობლად ინტენსიური იყო ვიდრე სხვა ქვეყნებში. ერთ-ერთი ყველაზე ძველი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმეზე ბუს ბანსის წინააღმდეგ 1865 წელს²³ სადაც სასამართლომ განმარტა, რომ კორპორაციული ველის გაიჭოლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოყენებულ იქნებოდა ბოროტად ან კრედიტორებისთვის თვალის ასახვევად.

არსებულ საკითხთან დაკავშირებით ადრინდელი გერმანული პრეცედენტებიც არსებობს, სადაც სასამართლომ უარი თქვა კორპორაციული ველის გაჭოლვაზე 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე რექტორ²⁴ დაადგინა, რომ სახეზე არ იყო კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების ფაქტი. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა საფარველის გაჭოლვისას. მაგალითად კორპორაციის შექმნა, როგორც საფარველის, რომლის მიზანია თაღლითობისა და უსამართლობის დამალვა, რა დროსაც აუცილებელია კორპორაცია და პარტნიორი მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, ერთ მთელად.²⁵

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კორპორაციული პრინციპები არ არიან აბსოლიტურნი და რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მათი უგულებელყოფა. მაგრამ აუცილებელია, რომ მათი უგულებელყოფა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული პირობებით,

²¹ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ.

²² ლ.ცერცვაძე დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას.

²³ Booth v. Bunce, 33 N.Y. 139

²⁴ Bundesgerichtshof, W. Ger., 45 BGHZ 204 (1966)

²⁵ DHN Ltd v Tower Hamlets 1 WLR 852, Lord Denning MR14 (1976); Adams v Cape Industries plc, BCC 786, 822 (1990).

რათა არ მოხდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინის შეზღუდვა. აუცილებელია გავიაზროთ, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის თვითმიზანი შეზღუდული პასუხისმგებლობის შეზღუდვა კი არ არის, არამედ აუცილებელი საჭიროებაა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.²⁶

1.1 კრედიტორები

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კრედიტორებს. კორპორაციული საფარველის გარღვევის მოთხოვნა უმეტესწილად კრედიტორებს ეკუთვნით, რადგან სწორედ მათ წინააღმდეგ გამოიყენება ბოროტად აღნიშნული სამართლებრივი ფორმა.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ფარგლებში განასხვავებენ ნებაყოფლობით (სახელშეკრულებო) და არანებაყოფლობით (დელიქტურ) კრედიტორებს²⁷

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამართალი არ იცნობს კრედიტორთა სახეებს, მათთან არ არსებობენ ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი კრედიტორები. სასამართლო ერთსა და იმავე საფუძვლებს იყენებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო კრედიტორების შემთხვევაში კორპორაციული ველის გაჭოლვისას.²⁸

²⁶ მახარობლიშვილი გ., კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited Liability) და კორპორაციის საფარველით (Entity Shielding) დაცულობა, საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია - 75, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016, 439

²⁷ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ელიზბარაშვილი ნ. (რედ.), თბ., 2009, 257-259.

²⁸ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ელიზბარაშვილი ნ. (რედ.), თბ., 2009, 257-259.

1.1.1 სახელმწიფო როგორც კრედიტორი კანონისმიერი ურთიერთობისას საქართველოს სამართლის სისტემაში (უმეტესად საგადასახადო ვალდებულებებისას გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში)

გაბატონებული მოსაზრებით, სახელმწიფო და მისი ქვედანაყოფები მოქცეულნი არიან საჯარო სამართლის იურისდიქციაში და ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, შესაბამისად სახელმწიფო და მისი დანაყოფები არ არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები თუ ამის შესაძლებლობას თავად კანონი არ აძლევს. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს საჯარო სამართლის პრინციპიდან „დაშვებულია მხოლოდ ის რაც პირდაპირაა დადგენილი კანონით“, განსხვავებით კერძოსამართლებრივი ურთიერთობისგან რომელშიც მოქმედებს რადიკურად განსხვავებული პრინციპი „დაშვებულია ყველაფერი რაც აკრძალული არაა კანონით“²⁹

საგადასახადო ორგანო წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ქვედანაყოფს, შესაბამისად ისიც გამტარებელია საჯაროსამართლებრივი პრინციპებისა და წესების. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსი შემოსაზღვრავს და ნათლად ადგენს, საგადასახადო ორგანოს მოქმედების არეალს და მის მიერ გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმებს. კერძოდ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თავად საგადასახადო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.³⁰ რაც

²⁹ როგავა ზ. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2003, თავი 8.

³⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

შეეხება საგადასახადო ურთიერთობისას გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადის გადამხდელს შეიძლება მოეთხოვოს გადასახადის გადახდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და საფუძვლით.³¹

განხილულ თემასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შორის დაიწყო დავა კერძოსამართლებრივი ნორმებით, სადაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014 მიიღო ერთი შეხედვით საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისთვის შეუსაბამო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა საქართველოს სამეწარმეო კოდექსის ნორმები და შ.პ.ს-ს ვალდებულებისთვის გადავიდა, გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებით, პარტნიორის ხოლო პერსონალური პასუხისმგებლობის გამოყენებით დირექტორის პირად ქონებაზე.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ დუალისტური შეხედულებები გამოიწვია იურიდიულ საზოგადოებაში.

ერთის მხრივ აღნიშნული გადაწყვეტილება არღვევდა საზღვარ კერძ და საჯარო სამართალს შორის, გარდა ამისა უგულებელყოფილ იქნა საჯარო სამართლის მომწესრიგებელი პრინციპები და ნორმები. კერძოდ, საგადასახადო სამართლის იმპერატიული ნორმები, რომელებიც განსაზღვრავდნენ საგადასახადო ორგანოს მოქმედების არეალს და მიმართებებს, ასევე საჯარო სამართლის მამოძრავებელი პრინციპი „დაშვებულია მხოლოდ ის რაც პირდაპირაა დადგენილი კანონით“.

მეორე მხრივ, მართალია საგადასახადო ორგანო მოქმედებს საგადასახადო კოდექსის ფარგლებში და გააჩნია საკმარისი ბერკეტი გადასახადების ამოღებისა, მათ შორის იძულებითი მეთოდები (აღსრულება, ყადაღა), მაგრამ შემთხვევა რომელზეც უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, წარმოადგენდა უნიკალურ შემთხვევას, გასაგებია რომ

³¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

საგადასახადო დავალიანების დროს საგადასახადო ორგანო გამოიყენებდა ყველა შესაძლო ბერკეტს მის ამოსაღებად შ.პ.ს-ს მიმართ, მაგრამ არასაკმარისი კაპიტალის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულის აღსრულება, შესაბამისად წარმოება დასრულდებოდა ნახსენებ ეტაპზე. მაგრამ რადგან მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორების მიერ, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა ბოროტად იქნა გამოყენებული, სახელმწიფოს მიადგა ზიანი რომელიც არ იარსებებდა აღნიშნული დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში, ჩნდება უსამართლობის გრძნობა და დგება უსამართლო შედეგი, სწორედ ამიტომ მიიჩნია სასამართლომ, რომ სამართალწარმოების შეჩერება დაუშვებელი იქნებოდა და რადგან საჯარო სამართლის არ მოიძებნება ნორმები რომლებიც დაარეგულირებდნენ აღნიშნულ შემთხვევას, სასამართლომ მიმართა კერძო სამართლს. გარდა ამისა აღნიშნული გადაწყვეტილება მართლდება იმით, რომ არ არსებობს რეალური ზღვარი კერძო და საჯარო სამართალს შორის, არც კერძოსამართლებრივი და საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების განმაცალკევებელი რამე ფორმულა, ხოლო რაც შეეხება კერძოსამართლებრივი ნორმების გამოყენებას საჯაროსამართლებრივი მიზნებისთვის ხარვეზების შესავსებად, რეალურად არსებობს მსგავსი პრეცედენტები, როდესაც საჯარო მიზნებისთვის გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრება, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება და სხვა, ეგრედ წოდებული „ნასესხები“ ნორმები ხშირად გვხვდება საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება რომელიც უზენაესმა სასამართლომ მიიღო, იყო საუკეთესო გამოსავალი იმ მწირი სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში, რაც ქართულ სამართალს გააჩნია მოცემულ მომენტში, მაგრამ უმჯობესია კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლის მიერ ხელისუფლები შებოჭვის პრინციპი მკაცრად დაცულ იქნეს, საჯარო და კერძო სამართალი ობიექტურად იქნას გამიჯნული, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი დანაწილება და

მათი მარეგულირებელი პრინციპები აზრს დაკარგავენ. მართალია დღევანდელი რეალობიდან რთულდება გამიჯვა კერძო და საჯარო სამართლის, მაგრამ რეალურად ის მაინც არსებობს. კერძო სამართლის ნორმები რომლებიც საჯაროში გამოიყენება უმეტესწილად კანონშივეა მიზანშეწონილად მიჩნეული და განმარტებულია, რომ გამოყენებულ იქნეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან კანონში მომწესრიგებელი ნორმების არ ქონის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ საჯარო სამართლის თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების ხარვეზის ან არასაკმარისი რეგულირების არსებობის შემთხვევაში (თუ კანონში სხვა განმარტება არაა გაკეთებული) უმჯობესია მოხდეს ნორმების სწორად რეალიზება და მათი გამოსწორება, კონკრეტულ გარემოებებთან მისადაგება. რათა არ მოხდეს კერძო და საჯარო სამართლის ერთმანეთში აღრევა. ამიტომ სახელმწიფოს როგორც კრედიტორის როლი საგადასახადო ურთიერთობის დროს, უმჯობესია დარეგულირებული იყოს გარკვეული იმპერატიული ნორმებით.

1.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნები

მიუხედავად იმისა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპები ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა კაპიტალური საზოგადოების პასუხისმგებლობის პრინციპი.³² აღნიშნული დოქტრინა წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას და არ შეიძლება მისი დაურეგულირებელი გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება საშიშროება იმისა, რომ შეზღუდულმა პასუხისმგებლობამ აზრი დაკარგოს. ასევე შესაძლებელია უგულვებელყოფილი იქნას

³² ე.რუხაძე, რ.დეკანოსიძე გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის უარყოფის საფუძველი სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ.თბილისი დეკემბერი N6 2016.

დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, რაც კორპორაციულ სამართლისთვის საბედისწერო იქნება.

ერთი შეხედვით გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება ეწინააღმდეგება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ მისი სწორი, ზომიერი გამოყენება მიმართულია უსამართლობის თავიდან ასაცილებლად³³ და არა შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინის დასასუსტებლად.

პრეცედენტებსა და გაბატონებულ აზრებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვეყნოთ გამჭოლი პასუხისმგებლობის ორი მიზანი. პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანია კრედიტორთა ინტერესების დაცვა, ამ ჭრილში დოქტრინა გვევლინება როგორც ზიანის კომპენსაციის სამართლებრივი საფუძველი.³⁴ ხოლო მეორე მიზანი, წარმოადგენს უსამართლობის აღკვეთას რომელიც არაერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირაა მითითებული³⁵.

1.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის გავლენა დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებზე

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს პოზიცია, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდება გულისხმობს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის სტატუსის გაუქმებას.³⁶ გამჭოლი პასუხისმგებლობის სინონიმად ხშირად გამოიყენება ტერმინი - *disregarding corporate entity*, რაც შინაარსობრივად კორპორაციის როგორც იურიდიული

³³ კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებული შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში მაჭავარიანი სოფიო, უნივერსალი, თბილისი, 2016 გვ 229

³⁴ გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ჭრილში, ზუბიტაშვილი ნონა, თბილისი, გვ29.

³⁵ ე.რუხაძე, რ.დეკანოსიძე გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის უარყოფის საფუძველი სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ.თბილისი დეკემბერი N6 2016.

³⁶Wormser, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12 No.6, 1912, 496.

პირის სტატუსის იგნორირებას გულისხმობს.³⁷ აღნიშნული პოზიცია მართებულად ვერ გადმოსცემს არსსა და მიზანს.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების წინაპირობები თავის მხრივ მოიაზრებს კორპორაციისა და პარტნიორის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობის უგულებელყოფას, წინასწარი განზრახვით. შესაბამისად აღნიშნული დოქტრინა უკვე აღრეულ სუბიექტებს არ აძლევს საშუალებას წინასწარი განზრახვით ჩაიდინონ დანაშაული, თაღლითობა, გაფლანგვა, გადასახადისგან თავის არიდება და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა, თავის მხრივ ეხმარება სამართალსუბიექტობის პრინციპს. დოქტრინა მოქმედებს მაშინ, როდესაც სამართალსუბიექტობა უკვე დარღვეულია და შეუძლებელია კორპორაციისა და პარტნიორის ვალდებულებების თუ ქონების გამიჯვნა, ამ დროს აღნიშნული დოქტრინა თავის მხრივ აერთანებს ორი სუბიექტის ვალდებულებასა და ქონებას, რათა მოახდინოს დანაშაულებრივი ქმედების პრევენცია, შემდეგ კი მისცეს კორპორაციას საშუალება იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა, გამომდინარე იქიდან, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა არ იწვევს კორპორაციის გაუქმებას ან ლიკვიდაციას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა ერთდროულად შეიძლება საშიშიც იყოს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტებისთვის და პირიქით შესაძლებელია იცავდეს კიდევ მათ, რადგან მათი არასწორი გამოყენება წინაპირობა გახდება შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინის, რაც თავისთავად დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის გაქრობასაც გამოიწვევს და ასევე მისი არ არსებობა, ხელმისაწვდომს გახდის შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას და საართალსუბიექტების ერთმანეთში აღრევას.

³⁷ გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ჭრილში, ზუბიტაშვილი ნონა, თბილისი, გვ64

2. შუალედური დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა, მიუხედავად მისი უმნიშვნელოვანესი როლისა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის უპირობო. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მისი გაჭოლვა. აღნიშნული ქმედება ძალზედ საფრთხილოა, რადგან აზრი არ დაეკარგოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას.

როდესაც კორპორაციული საფარველის გაჭოლვაზე ვსაუბრობთ აუცილებელია განვსაზღვროთ ამ ურთიერთობის კრედიტორები, რადგან აღნიშნული დოქტრინის გამოყენებებაზე მზაობას სწორედ ის კრედიტორები გამოთქვამენ რომელთა მიმართ, ბოროტად იქნა გამოყენებული შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა. მათი რაობა და სახე განსაზღვრავს თუ რა მიზნითა და საშუალებებით მოხდა კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენება და რამდენად რელევანტური იქნება კონკრეტულ შემთხვევაში კორპორაციული საფარველის დოქტრინის ამოქმედება.

აუცილებელია გააზრებულ იქნას, ფაქტი, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი დოქტრინაა და მისი კანონისმიერი ურთიერთობისას გამოყენება საფრთხეს უქმნის, კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნას, მათი ფუძემდებლური პრინციპების მოქმედებას და შესაძლოა, მიმართება რის გამოც საჯაროსამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო შებოჭილია დაწესებული ნორმებით (სახელმწიფოს ზემოქმედების შემცირება ინდივიდზე, სახელმწიფოს შეუზღუდავი შესაძლებლობების გამო) უგულებელყოფილი იქნას და გამოიწვიოს ფატალური შედეგი კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის.

ასევე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის სწორი მიზანი, რომ ის აღკვეთს შეზღუდული სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და არ

შეიძლება მისით მანიპულირება, კრედიტორის მიერ გასათვალისწინებელი რისკის უგულებელყოფა, ამის ხარჯზე კი კორპორაციის პარტნიორებისთვის უსამართლო ზიანის მიყენება. აღნიშნულმა შედეგებმა შესაძლოა სრულად გააქროს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპი, შესაბამისად პარტნიორის და კორპორაციის აღქმა მოხდება როგორც ერთი მთლიანობის.

თავი III

1. გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოსა და გერმანიის სამართალში

გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოსა და გერმანიაში სხვადასხვა ეპოქასა და რეალობაში მიმდინარეობდა.

აღნიშნული დოქტრინა გერმანიაში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩნდება და ვითარდება სასამართლოს მიერ. დოქტრინა „Durchgriffshaftung-ის“ განმსაზღვრელი ფაქტორები „piercing the corporate veil-ის“ იდენტურია. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიამ კორპორაციული ველის გაჭოლვის ამერიკული მოდელი გამოიყენა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისას, რადგან აშშ-ში აღნიშნული მოდელი დაახლოებით 100 წლით ადრე გამოიყენებოდა. ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, გერმანიაში თუ პასუხისმგებლობა დადგა კომპანიათა ჯგუფის ფარგლებში, დომინანტი კომპანიის მიმართ საქმის წარმოება წარიმართება „საკონცერნო“ სამართლის მიხედვით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიაში

პარტნიორს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ერთის მხრივ, „საკონხერნო სამართლით“ ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული დოქტრინით „Durchgriffshaftung „.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატიული ნორმები მოცემულია სააქციო კანონში, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განავითარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მათი ანალოგიის წესით გამოყენების პრაქტიკა. ახალი მიდგომების მიხედვით სააქციო კანონით გათვალისწინებული ნორმები არ უნდა გავრცელდეს შ.პ.ს-ზე. ³⁸გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა როდესაც ხდება ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენება.

საქართველოში კორპორაციული საფარველის გარღვევის ნორმატიული საფუძველს „მეწარმეთა შესახებ კანონი“ წარმოადგენს. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში, მოცემულია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლები. კერძოდ შეზღუდულ პარტნიორს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ის ბოროტად გამოიყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას.³⁹

„მეწარმეთა შესახებ კანონი“ დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, თავდაპირველად კანონში განმარტებული იყო, თუ რას ნიშნავდა ბოროტად გამოყენება“უწინარეს ყოვლისა საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება“. აღნიშნული მოდელი საკმაოდ ახლოს იყო გერმანიაში მოქმედ დოქტრინასთან „Durchgriffshaftung“, რადგან მიახლოებით ასახავდა იმ საფუძვლებს, რისი არსებობაც აუცილებელი იყო დოქტრინის განსაზღვრისთვის, კერძოდ ქონებათა აღრევა, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და არასათანადო კაპიტალიზაცია. 1999 წლის ცვლილების თანახმად შეიცვალა ბოროტად გამოყენების ტერმინოლოგია

³⁸ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ95

³⁹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი 3.6 მუხლი

და ჩამოყალიბდა „შემდეგნაირად თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა.“⁴⁰ 2008 წელს კი ბოროტად გამოყენების განმარტება ამოღებულ იქნა კანონიდან და სასამართლოს მიეცა საშუალება კონკრეტული საქმიდან გამომდინარე განემარტა თუ რა შეიძლება ყოფილიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება.

1.1 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მიღებულ იქნა 1994 წლის 28 ოქტომბერს და როგორც ავღნიშნეთ, მასში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებული იყო, 3.4 მუხლით, რომლის მიხედვითაც კრედიტორების წინაშე პარტნიორები პასუხს აგებდნენ პირადი ქონებით, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად გამოიყენებდნენ.⁴¹ კანონი მინიმალური სტანდარტით იძლეოდა განმარტებას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება. კრემოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებად მიიჩნეოდა, „უწინარეს ყოვლისა საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება“. გამომდინარე კანონის ტექსტიდან ბოროტად გამოყენება არ იზღუდებოდა მხოლოდ ჩამოთვლილი საფუძვლებით, შესაძლებელი იყო სასამართლოს კონკრეტული საქმიდან

⁴⁰ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, 1999 9 ივნისის N2073-IIIს, 3.4 მუხლი

⁴¹ ჭანტურია ლ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისთვის-სამოსამართლო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართლი სასამართლო პრაქტიკაში, ზარანდია თ (რედ), თბ., 2016, 280

გამომდინარე თავად განესაზღვრა ბოროტად გამოყენების ფაქტი, კანონი მხოლოდ მინიმალურ სტანდარტს აწესებდა.⁴²

1999 წლის 9 ივლისის ცვლილებით მეტად დაკონკრეტდა თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება და განისაზღვრა შემდეგნაირად, ბოროტად გამოყენება მიიჩნევა „თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა“.⁴³

2008 წლის 14 მარტს მეწარმეთა შესახებ კანონში კიდევ შევიდა ცვლილება. გამჭოლი პასუხისმგებლობის სპეციალური შემადგენლობა შეიცვალა ზოგადი აბსტრაქტული დებულებით. შესაბამისად კანონიდან ამოღებულ იქნა ბოროტად გამოყენების განმარტება.⁴⁴ აღნიშნული ცვლილება ერთის მხრივ, შეიძლება პოზიტიურად მოვიაზროთ რადგან კანონის ზომაზე მეტად კონკრეტიზაცია, შებოჭავდა სასამართლოს კონკრეტული საქმიდან გამომდინარე განესაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების ფაქტი. ხოლო მეორეს მხრივ, მინიმალური სტანდარტის არქონამ შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოს მიერ არამართებული პრაქტიკის ჩამოყალიბება.

ასევე აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა კანონის თავდაპირველი ვერსიის მე-17 მუხლით მოწესიერებული იყო „კონცერნი და მეკავშირე საწარმოები“⁴⁵. კონცერნი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთი საწარმო სხვა საწარმოში

⁴² ზუბიტაშვილი ნ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“, N2, 107

⁴³ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, 1999 9 ივნისის N2073-III, 3.4 მუხლი

⁴⁴ ზუბიტაშვილი ნ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“, N2, 107

⁴⁵ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 79

მონაწილეობს ოცდახუთ პროცენტზე მეტი წილით.⁴⁶ მე-17 მუხლი ასევე არეგულირებდა შემთხვევას, როდესაც საწარმო ფლობს საქართველოში მდებარე სხვა საწარმოს წილთა 50 პროცენტს, ძირითადი საწარმო ვალდებულია დაფაროს არაძირითადი საწარმოს წლიური ზარალი.⁴⁷ ასევე 75%-იანი წილის მონაწილეობის შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავდა, რომ საწარმოსთან ერთად პასუხს აგებდნენ კორპორაციის შეზღუდული პარტნიორები, როგორც სოლიდარული მოვალეები არაძირითადი საწარმოს ან მესამე პირების წინაშე.⁴⁸

აღნიშნული მეთოდი მსგავსაა გერმანული საკონცერნო სამართლისა, სადაც მაკონტროლებელი კორპორაციის ჩარევისა და კონტროლის ხარისხი თამაშობდა ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, ამასთანავე როგორც გერმანულ საკონცერნო სამართალში ასევე ქართულში, აუცილებელი იყო ფიდუციური მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულება⁴⁹, რათა არ მომხდარიყო ნახსენები მუხლების გამოყენება დომინანტი საწარმოს ან/და შეზღუდული პარტნიორების წინააღმდეგ.

თუმცა 2008 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად მე-17 მუხლი სრულად იქნა ამოღებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მოუწესრიგებელი დარჩა საკონცერნო სამართლის გამოყენება ქართულ იურისპრუდენციაში.

1.2 საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014

⁴⁶ მუხლი 17.1., 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 28/10/1994.

⁴⁷ მუხლი 17.2., 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 28/10/1994

⁴⁸ მუხლი 17.3., 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 28/10/1994

⁴⁹ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 80

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებისთვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე, რომლის დავის არსი იყო შემდეგი. შ.პ.ს „ლ.2009-ს“ რომელიც სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ინპორტს ანხორციელებდა, ჰყავდა ორი პარტნიორი, რომელთაგან ერთ-ერთი ასევე ითავსებდა დირექტორის თანამდებობას.

საგადასახადო შემოწმების შედეგად, კომპანიას დაერიცხა საგადასახადო დავალიანება 786 657 ლარის ოდენობით და პარტნიორების მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მოგვიანებით კი ისინი სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

საქალაქო სასამართლოში გამოითქვა მოსაზრება, რომ პარტნიორები შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას იყენებდნენ ბოროტად, რაც გამოიხატებოდა შემდეგში. კომპანიაში არ ხდებოდა სათანადო ბუღალტრული აღრიცხვა, მათ მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასი შეუსაბამო იყო საბაზრო ფასთან, კომპანია არ ახდენდა მიღებული საქონლის ბალანსზე აყვანას(ასახვას) და მათ მიერ რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა სალარო აპარატის მიერ მოცემულ მონაცემებს.⁵⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა შემდეგი. ეკისრებოდათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორ პირდაპირ და უშუალოდ , მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებისთვის და თუ ეკისრებოდა რა სამართლებრივი საფუძვლით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების

⁵⁰ საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014

ვალდებულებებისთვის პარტნიორები და დირექტორები პასუხს არ აგებენ პირადი ქონებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამართლებრივი დასაბუთება შეუსაბამო იყო აღნიშნული საქმისთვის, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და სამართლებრივი საფუძველი შეცვალა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 და მე-9 მუხლის მე-6 მუხლით. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა დარეგულირებულიყო ნახსენები კანონით.⁵¹

სასამართლომ იმსჯელა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიხავეს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას, არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომამ შეყვანით.

გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხეები მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლოს მოუწია ემსჯელა იმის თაობაზე, არსებული განაჩენი იყო თუ არა წინაპირობა იმისა, რომ მოპასუხეებისთვის უპირობოდ დაეკისრებინათ მოთხოვნილი ვალდებულებები. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სასამართლომ გააკეთა შემდეგი განმარტება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ

⁵¹ საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014

მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.⁵²

სასამართლოს მოქმედებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლომ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა, კერძოდ განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი როგორც ვიწრო, ასევე ფართოგაგებით. შესაბამისად გაზარდა მისი მოქმედებისა და დასაბუთების არეალი, ასევე განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება უპირობოდ არ მოიაზრებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და ეს მდგომარეობა სამოქალაქო სამართალწარმოებისას მოიაზრებოდა მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებად რომელიც საჭიროებდა შებასებასა და გამოკვლევას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

1.3 ინსტრუმენტალობის თეორიის სამსაფეხურიანი სტანდარტი

ინსტრუმენტალობის თეორია(წესი) პირველად ჩამოყალიბა, ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ 1936 წელს.⁵³ ინსტრუმენტალობის თეორიის ფარგლებში გამოიყენება სამსაფეხურიანი სისტემა, რომლის მიხედვითან მოსარჩელეს ევალება შემდეგ გარემოებათა დამტკიცება. 1)დაცვის მხარის მიერ კორპორაციის კონტროლი ხორციელდება იმ დონეზე, რომ ხსენებული მოიცავს სრულ დომინირებას ფინანსებზე და ბიზნესის მართვაზე შესაბამისად, კორპორაციას აღარ აქვს განცალკევებული აზრი, ის როგორც

⁵² საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014

⁵³ Lowendahl v. Baltimore & Ohio Railroad Company., 247 App. Div. 144.(1936). Figueroa D., comparative Aspects of piercing the corporate veil in the united states and latin America, Duquesne law review, vol 50.2012.721

დამოუკიდებელი სუბიექტი არ არსებობს. 2) აღნიშნული კონტროლი გამოყენებულ იქნა თაღლითობის ან მოსარჩელის უფლებების დასარღვევად. 3) კონტროლი და მოსარჩელის უფლების დარღვევა იყო ზიანის გამომწვევი მიზეზი.⁵⁴

ნახსენები თეორია დროთა განმავლობაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა სხვადასხვა დროსა და სამართლის სისტემაში. ამდენად ინსტრუმენტალობის წესის თანამედროვე გაგება ეფუძვნება პროფესორ საუელის მიდგომას.⁵⁵

პროფესორმა ინსტრუმენტალობის სამი გარემოება შემდეგნაირად განმარტა.⁵⁶ 1) კონტროლი, არა მხოლოდ წილთა უმრავლესობის ხარჯზე, არამედ დომინირება, რომელიც ვლინდება, როგორც ფინანსების კონტროლით, ასევე პოლიტიკური და საქმიანი მიმართულებების იმგვარად განსაზღვრით, რაც გამორიცხავს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას. 2) ასეთი კონტროლი და დომინირება პარტნიორის მიერ ხორციელდება თაღლითობის ჩასადენად, კანონის მიერი ან სახელმეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად და უთანაბრდება უსამართლო და არამართლზომიერ ქმედებას კრედიტორის უფლებების მიმართ. 3) კონტროლსა და ქმედებას შრის უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი.⁵⁷

მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუმენტალობის თეორიის დაბადების ადგილი ამერიკის შეერთებული შტატებია, კერძოდ კი ნიუ-იორკი, იგი გამოიყენება სხვა სამართლის სისტემებშიც. გერმანიაში შექმნილი სასამართლოს პრაქტიკა საკორპორაციო საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად ინსტრუმენტალობის თეორიაზეა

⁵⁴ Bainbridge S.M., Abolishing LLC veil piercing, university of Illinois Law Review, Vol. ., 2008, 88

⁵⁵ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 69-70

⁵⁶ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 69-70

⁵⁷ Cox, hazan, business organization Law. 3th edition 2011. 127

დაფუძვნიებული და სასამართლო ხშირად მიმართავს აღნიშნულ წესს იმის დასადგენად, იქნა თუ არა გამოყენებული ბოროტად შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა.

1.4 ალტერ ეგოს თეორიის ორსაფეხურიანი სტანდარტი

პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამართლების მიზნით სასამართლოები სხვადასხვა მეტაფორებს მიმართავენ, რომელთაგან უმეტესობა პარტნიორის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე აკეთებს აქცენტს, ხშირად გამოიყენება შემდეგი მეტაფორები: “cloak”, “creature”/ „ქმნილება“, “sham”/ „სიმულაცია“, “Sell”/ „დალატი“ და “snare”/ „მარყუქი“.⁵⁸

ერთ-ერთ მეტაფორას წარმოადგენს “alter ego”, რომელიც გამოიყენება კორპორაციული საფარველის გასაჭოლად. ალტერ ეგოს თეორიის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის გაქარწყლებისთვის აუცილებელია ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობა. 1) კორპორაციისა და მაკონტროლებელ პარტნიორს შორის საკუთრება და ინტერესი იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა შეუძლებელია არსებობდეს⁵⁹. 2) ამგვარ ფაქტზე დაყრდნობით კორპორაციის შეფასება, განცალკევებულ სამართალსუბიექტობის ზოგადი წესების გამოყენებით, გამოიწვევდა თარღითურ ქმედებასა და უკანონო შედეგს.⁶⁰

⁵⁸ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 130

⁵⁹ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 69

⁶⁰ Figueroa D., Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States of America, Duquesne Law Review, Vol. 50, 2012. 728

თუმცა სასამართლოების უმრავლესობა გაჭოლვას არ ახორციელებს მხოლოდ „ალტერ ეგოს“ თეორიის საფუძველზე, თუ სახეზე არ არის თაღლითური ქმედება, მიუხედავად კორპორაციის დაარსების მიზნისა.⁶¹ ამ დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მაკონტროლებელის მიერ განხორციელებული დომინირება იმდენად დიდია, აზრს უკარგავს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას და სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლის შედეგადაც კრედიტორს ერთმევა საშუალებას განაცალკევოს მაკონტროლებელი და კორპორაცია ერთმანეთისგან.⁶² აღსანიშნავია, რომ ალტერ ეგოსა ან ინსტრუმენტალობის თეორიის შესამოწმებლად პროფესორმა პაუელმა შეიმუშავა 11 პუნქტიანი ქვეტესტი, რომელთაგან რამდენიმეს არსებობაც კი საკმარისია ალტერ ეგოს დასადგენად⁶³

1. წარმოდგენილია თუ არა დედა კომპანია შვილობილ კომპანიაში სრულად ან წილთა უმრავლესობით?
2. ჰყავთ თუ არა საერთო დირექტორი?
3. აფინანსებს თუ არა დედა კომპანია შვილობილს?
4. როგორ დააფინანსა დედა კომპანიამ შვილობილი დაფუძვნებისას?
5. არის თუ არა შვილობილი არასათანადოდ კაპიტალიზირებული?
6. ფარავს თუ არა დედა კომპანია შვილობილის გადასახადებს (მათ შრის ხელფასებს, სხვა ხარჯებსა და ზარალს)?
7. ეწევა თუ არა შვილობილი დედა კომპანიის საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას; გააჩნია თუ არა შვილობილს ქონება გარდა იმისა, რაც დედა კომპანიამ გადასცა?

⁶¹ Ezzo R. P., Corporations, Piercing the Corporate Veil, Stockholder liability, university of Miami Law Review, N 122, 1957, 122-123

⁶² Smith D.G., Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, George Mason Law & Economics research Paper, N8 2008,7.

⁶³ ზუბიტაშვილი, ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 73

8. მიიჩნევს თუ არა დედა კომპანია (დოკუმენტალურად დადასტურებულად) შვილობილს თავისი კორპორაციული სტრუქტურის ნაწილად?
9. იყენებს თუ არა დედა კომპანია შვილობილის ქონებას, როგორც საკუთარს?
10. არის თუ არა შვილობილის დირექტორატი დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში? ასრულებს თუ არა დედა კომპანიის მითითებებს?
11. არის თუ არა სახეზე შვილობილის, როგორც იურიდიული პირის მიმართ დადგენილი სხვა ფორმალური მოთხოვნები?⁶⁴

1.5 დეკაპიტალიზაცია (გერმანიის სამართლის მიხედვით)

რიგ ქვეყნებში მიჩნეულია, რომ მინიმალური სავალდებულო კანონისმიერი საწესდებო კაპიტალი უზრუნველყოფს კორპორაციის დეკაპიტალიზაციის შემთხვევათა შემცირებას და რისკის ნაკლებად გადასვლას კორპორაციიდან კრედიტორზე.⁶⁵

საქართველოს იურისდიქციისგან განსხვავებით, გერმანული საკორპორაციო სამართალი მოითხოვს მინიმალურ სავალდებულო კანონისმიერ საწესდებო კაპიტალს, რომელიც გერმანული შეზღუდული

⁶⁴ Krendl, Krendl, Piercing the Corporate Veil: Focusing The Inquiry, Denver Law journal, Vol.55, No.1, 1987,6.

⁶⁵ Petroševićienė O. Effective Protection of Creditors' Interests of private companies: Obligatory Minimum Capital Rules versus Contractual and other Ex Post Mechanism, Social Studies Research journal, N3(7), 2010,2014.

პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის წარმოადგენს 25 000 ევროს⁶⁶, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

აღნიშნული კორპორაციული ფორმა ყველაზე მეტად გერმანიაში არის გავრცელებული. ეკონომისტთა შორის, ზოგადაა მიღებულია აზრი, რომ მინიმალური საწესდებო კაპიტალი, ადეკვატური იქნება ყველა ბიზნესისთვის, ვერ დადგინდება.⁶⁷

შესაბამისად, გერმანიის სამართლის მიხედვით, კორპორაციის არასათანადო კაპიტალიზაცია სახეზეა, როდესაც არსებული კაპიტალი არ არის საკმარისი, კორპორაციის საქმიანობის განსახორციელებლად იმგვარი დაფინანსების პირობებში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ქონებით კორპორაციის ვალების დაფარვას.⁶⁸

მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობამ, გერმანიაში ჩამოაყალიბდა დეკაპიტალიზაციის ორი მიმართულება ნომინალური და მატერიალური სახით.⁶⁹

ნომინალური დეკაპიტალიზაციის დროს აქციონერებს დარღვეული აქვთ კანონით გათვალისწინებული მინიმალური კაპიტალის შევსება, მატერიალური დეკაპიტალიზაციისას კი გარდა კონინით განსაზღვრულისა, შემდგომაც არასაკმარისად ხდება კაპიტალდაბანდება კორპორაციაში.

მატერიალური ქვეკაპიტალიზაციის შეფასებისთვის ფართოდ გამოიყენება ულმერის ფორმულა.⁷⁰ თუმცა 2007 წელს ფედერალურმა უმაღლესმა

⁶⁶ Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG), 20/04/1892. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ აქტის სექცია 5(1): „კომპანიის აქციათა კაპიტალი უნდა შეადგენდეს, მინიმუმ, ოცდახუთ ათას ევროს“ (“The company’s share capital must amount to no less than twenty-five thousand euros.”), აღნიშნულიდან გამონაკლისი წესი მოწესრიგებულია GmbHG, სექცია 5 (a),

⁶⁷ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 68

⁶⁸ Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law, Vol. 2, Issue 2, 1995, 207.

⁶⁹ Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law, Vol. 2, Issue 2, 1995, 207

⁷⁰ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 68

სასამართლომ, საქმეზე „Trihotel“ შეცვალა თავისი მიდგომა კორპორაციული საფარველის მიდგომასთან დაკავშირებით, კერძოდ კორპორაციის „ეკონომიკური მდგრადობის განადგურებისას“ გამორიცხა პარტნიორის კორპორაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა და უარყო მატერიალური არასათანადო დეკაპიტალიზაცია. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ კორპორაციისთვის განზრახ ზიანის მიყენების გამო.⁷¹

აღნიშნული გადაწყვეტილება უზრუნველყოფს კრედიტორის მეტად ადეკვატურ დაცვას დელიქტისას.⁷²

არსებული მოდელის გამოყენება საქართველოში უპრიანი იქნებოდა რიგი მიზეზების გამო, კერძოდ შეამცირებდა კრედიტორთა ფინანსურ რისკს კომპანიებთან მიმართებაში, ფაქტიურად ნულს გაუტოლდებოდა ერთჯერადი ეკონომიკური მოქმედებისთვის კომპანიების რეგისტრაცია, გაართულებდა სახელმწიფოსთვის გადასახადის დამალვას კომპანიებისგან, რომლებიც ბრუნვას უნაწილებენ ახლადდარეგისტრირებულ კომპანიებს.⁷³

1.6 კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა (გერმანული სამართლის მიხედვით)

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ კორპორაციულ ფორმალობებს, როგორც ჩვეულების შედეგად დამკვიდრებულ წესებს.⁷⁴

⁷¹ Knappke T. C., No Liability of Shareholder for Material Undercapitalization of a GmbH, Newsletter Corporate Law, October, 2008, 6

⁷² Zhen Qu C., Ahl B. Lowering the Corporate Veil in Germany: a Case Note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford University Comparative Law Forum 4, 2008,

⁷³ იგულისცემა კომპანიები რომლებიც აარსებენ შვილობილ კომპანიებს და მათთან ანაწილებენ მოგებას, რათა არ გადასცდნენ წლიურ 100 000 ლარიან ბრუნვას და არ მოუწიოთ დღგ-ს გადახდა.

⁷⁴ Miguens Liability of a Parent Corporation for the obligation of an Insolvent Subsidiary, under American Case Law and Argentinian Law, 10 American Bankruptcy Institute Law Review 217, 2002, 288.

ამდენად, კორპორაციული ფორმალობები არის ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული წესები და მოთხოვნები.⁷⁵ კორპორაციულ ფორმალობებად მიიჩნევა: დამოუკიდებელი საბუღალტრო წიგნების წარმოება, დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშის ფლობა⁷⁶ და სხვა სახის ფორმალური და ამტერიალური ანგარიშების წარმოება.⁷⁷

გერმანიაში შესაძლოა სასამართლომ გამოიყენოს გამჭლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, თუ აქციონერი და კორპორაცია არ იცავენ აღნიშნულ კორპორაციულ ფორმალობებს და დაუცველობა იწვევს კორპორაციის იდენტობის არასწორ შეფასებას კრედიტორების მხრიდან.⁷⁸

ნიურბერგის რეგიონალურ უმაღლეს სასამართლოს და გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს არ აქვთ იდენტური მიდგომა კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობისას კორპორაციულ საფარველის გაჭოლვაზე.⁷⁹

ნიურბერგის უმაღლესი სასამართლო მიიჩნევს, რომ, თუ კორპორაციისა და პარტნიორის ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის გამო, კრედიტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მიუხედავად იმისა, მიზანი იყო თუ არა მისი შეცდომაში შეყვანა. ხოლო ფედერალური სასამართლოს დასაბუთებით, აუცილებელია წინასწარ გამიზნული, შეგნებული არამართლზომიერი ქმედება კრედიტორის წინააღმდეგ.⁸⁰

⁷⁵ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 150

⁷⁶ Rands, Domination of a Subsidiary by a Parent, *Indiana Law Review*, Vol 32:421, 1999, 442.

⁷⁷ Dobson, Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and United States, *Internacional and Comparative Law Quarterly*. Vol. 35 No.4 1986, 863.

⁷⁸ Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law- Liability of individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative and International Law*, Vol.2 Issue 2, 1995, 214.

⁷⁹ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 70

⁸⁰ Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law- Liability of individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative and International Law*, Vol.2 Issue 2, 1995, 214-217

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანული პრაქტიკის მიხედვით, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალობათა დაუცველობა, არამედ ფორმალობათა დაუცველობა რომელმაც მეტად დაამძიმა და არასასურველი გახდა არსებული შედეგი.⁸¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა მივიჩნიოთ, გამჭოლი პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ დამოუკიდებელ საფუძველად. მას ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების პროცესში შეიძლება მიენიჭოს გარკვეული ძალა, კორპორაციის განცალკევებულობის ხარისხის დასადგენად, და არა გამჭოლი პასუხისმგებლობის ექსკლუზიური წინაპირობის სახით.⁸²

1.7 კორპორაციის ქონებისა და პარტნიორის ქონების აღრევა (გერმანიის სამართლის მიხედვით)

ქონებათა აღრევა - “Vermögensvermischung” შეიძლება გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბუღალტრო წიგნები იმგვარად არის წარმოებული, რომ შეუძლებელია საზოგადოების ქონების იდენტიფიცირება.⁸³ გერმანიის სასამართლოსთვის გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არაა საკმარისი ის ფაქტი, რომ პარტნიორსა და ცორპორაციას

⁸¹ McGaughey R.J., Disregarding the Corporate/LLC Veil: The most Litigated Issue in Corporate Law, Portland, 2007,5-6. Weeks v. Kerr, 486 NE2d 10, 12, ind Aoo (1985) Mcgaughey R.j., Disregarding the Corporate/LLC Veil: The most Litigated Issue in Corporate Law, Portland,2007,3.

⁸² ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ152

⁸³ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ96

შორის მოხდა ქონების გადაცემა. ხსენებული ფაქტის არასათანადოდ ასახვის შემთხვევაშია შესაძლებელი გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება.⁸⁴

გერმანიაში ქონებათა აღრევა მიიჩნეოდა კვალიფიციური ფაქტობრივი კონცერნის მაკვალიფიცირებელ გარემოდ, მხოლოდ Breme Vulkhan და Kvb გადაწყვეტილებების შემდეგ შეიცვალა მიდგომა.⁸⁵

გერმანიის სასამართლოს მიერ კვალიფიციური კონცერნის ნორმების გამოყენების დაუშვებლობამ გააჩინა ლეგიტიმური კითხვა, თუ რა ზომის ქონების აღრევა იქნებოდა საკმარისი სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად. როგორც კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის შემთხვევაში, მოცემულ შემთხვევაშიც სასამართლო პრეკტიკამ განსაზღვრა, რომ აუცილებელია სახეზე იყოს არაკეთლსინდისიერი, კანონგარეშე განზრახვა კრედიტორის მიმართ.⁸⁶

აღნიშნულმა ცვლილებებმა სასამართლოს მისცა დისკრეცია, ჩამოეყალიბებინა ქონების აღრევასთან დაკავშირებული სტანდარტი, რომელიც მორგებული იქნებოდა კონკრეტულ ქმედებებზე (საქმეებზე) და მხარეებს მისცემდა სამართლებრივი დასაბუთების მეტად ფართო სივრცეს რაც, გარკვეულწილად, სასამართლოში შეჯიბრებითობის ხარისხს აამაღლებდა.

2. მტკიცების ტვირთი

გამჭოლი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი მტკიცების ტვირთი არის, რადგან აღნიშნული დოქტრინის

⁸⁴ Altung C., Piercing the Corporate Veil in America and German Law- Liability of individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law, Vol.2 Issue 2, 1995, 198.

⁸⁵ Vendekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law Interncional, 2007, 179

⁸⁶ Vendekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law Interncional, 2007, 262

გამოყენებისთვის საჭირო საფუძვლების დასაბუთების გარეშე შეუძლებელი იქნება მისი გამოყენება და რეალიზება. გაბატონებული მოსაზრებით გამჭლი პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება კრედიტორს. აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკიცების ტვირთის სირთულის გამო კრედიტორზე მისი დაკისრება ხელს უშლის, ართულებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებასა და აღსრულებას.⁸⁷

გამოთქმული მოსაზრებით სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი (onus probandi/ მტკიცების ტვირთი), კორპორაციული ველის გაჭოლვისას მოქმედებს კრედიტორის საწინააღმდეგოდ, რადგან მას არ გააჩნია კორპორაციის შიდა მოწყობასა და მოქმედებებზე წვდომა, რომლის მეშვეობითაც სამართლებრივად უნდა დაასაბუთოს მოთხოვნა.⁸⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრედიტორს უნდა დაეკისროს მხოლოდ ფაქტზე მითითების ვალდებულება შემდგომ კი მოპასუხებ უნდა ამტკიცოს ფაქტის არარსებობა.⁸⁹ ასევე არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა აღნიშნული მიდგომა საქართველოსთვის შეუსაბამო იყოს, რადგან ზედმეტ პრივილეგიას მისცემდა კრედიტორს, გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ნორმებისა რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოს ძალით მტკიცებულებათა გამოთხოვას ან მტკიცებულებათა განადგურების საშიშროებისას მტკიცებულებათა ინსტიტუტის გამოყენებას.⁹⁰

გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლები თავის თავში მოიაზრებენ გარკვეულ წინასწარ განზრახვას,

⁸⁷ Vandekerckove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 537.

⁸⁸ Vandekerckove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 538.

⁸⁹ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ170.

⁹⁰ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ171.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების, იმ შემთხვევაშიც კი თუ კრედიტორს მიეცემა საშუალება გამოითხოვოს მტკიცებულებები მოპასუხისგან, საკმაოდ დიდი დრო დაჭირდება, წინასწარ განზრახული და დაგეგმილი თაღლითური არაკანონიერი სქემის გამოვლინებას, რადგან ხშირ შემთხვევაში საკმაოდ კარგად არის დაფარული ნახსენები მოქმედებები. შესაბამისად მხოლოდ კრედიტორისთვის მტკიცების ტვირთის სრულად დაკისრება არაეფექტიანი იქნება, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის აღმოსაფხვრელად.

შესაბამისად კრედიტორისთვის და საერთოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინისთვის უპრიანი იქნება თუ კრედიტორს დაეკისრება მტკიცების მინიმალური ტვირთი, არა მხოლოდ ფაქტებზე მითითებით არამედ გარკვეული მოქმედებების სამართლებრივი დასაბუთებით, ხოლო დანარჩენის მტკიცება მოუწევს მოპასუხეს, რადგან მოპასუხისთვისაც მეტად მარტივი იქნება მის მიერ განხორციელებული ქმედებების განმარტება.

3. შუალედური დასკვნა

კორპორაციული საფარველის გაქოლვის საფუძვლები, ის მონახაზია რაც აღნიშნულ დოქტრინას გამონაკლისად აქცევს და უზრუნველყოფს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის სწორად ფუნქციონირებას.

საქართველოსთვის კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძველს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს, რომელიც დასახვეწი და მისასადაგებელია დღევანდელ რეალობასთან, რადგან 2008 წელს დამტკიცებული კანონი საკმაოდ მოძველებულია და მასში არ არის რეალიზებული ის ფუნდამენტური ნორმები, წესები რომელიც მსოფლიო კორპორაციულ სამართლებრივი საზოგადოების მონაპოვარია.

აღსანიშნავია გერმანიაში მოქმედი კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლები მათი რელევანტურობა და მოქმედების ეფექტურობა, კერძოდ ინსტრუმენტალობის თეორიის სამსაფეხურიანი სტანდარტისა და ალტერ ეგოს თეორიის ორსაფეხურიანი სტანდარტის სასამართლო პრაქტიკაში ინტეგრირება, კონკრეტულ საქმესთან და ფაბულასთან მისადაგება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართლი სასამართლო ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული პრაქტიკის შექმნას საქმეთა არ ქონის გამო, შესაბამისად საზოგადოების ინფორმირებაც, ნახსენებ საკითხთან დაკავშირებით დაბალია. უმჯობესი იქნება გარკვეული საფუძვლების ნორმატიულ მასალად გაწერა, როგორც სასამართლოსთვის საქმის გაადვილების მიზნით, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, რადგან პრინციპი „კანონის არ ცოდნა არ არის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება“ რელევანტურად მოქმედებს საზოგადოებაზე და ზრდის კონკრეტული საკითხის მიმართ ინტერესს.

გამჭლი პასუხისმგებლობის საფუძვლების გამოყენებისას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მტკიცების ტვირთი. აღნიშნული ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება სრულად, მაგრამ გერმანული სამართალი რიგ შემთხვევებში ცნობს გარემოებას როდესაც მტკიცების ტვირთი მარტივდება და გარკვეულწილად მოპასუხეზე გადადის, ეს იმიტომ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცება მოსარჩელისთვის საკმაოდ რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი, სწორედ ამიტომ გერმანულმა სასამართლო

პრაქტიკამ ჰპოვა განვითარება და მტკიცების ტვირთის განსხვავებული გადანაწილების წესიც გააჩინა.

რაც შეეხება ქართულ სასამართლო სისტემას, მტკიცების ტვირთი სრულად მოსარჩელეზეა და მხოლოდ ფაქტებზე მითითება არაა საკმარისი, რაც საკმაოდ აფერხებს გამჭოლი პასუხისმგებლობის სწორად და ობიექტურად გამოყენებას.

თავი IV

1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სპეციალური მოწესრიგება გერმანიაში

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა უმეტესად სასამართლო პრაქტიკით ვითარდება და ყალიბდება. მაგრამ გერმანიაში აღნიშნული დოქტრინა ამავდროულად მოწესრიგებულია ნორმატიულ დონეზე.

სააქციო საზოგადოებათა აქტი აწესრიგებს დაკავშირებულ კორპორაციებს საკონცერნო სამართლით. საკონცერნო სამართალი მოიაზრებს დედა-შვილობილ კომპანიებს და მათ სამართლებრივ ურთიერთობას. გამოიყოფა რამდენიმე სახის კონცერნი, კერძოდ სახელშეკრულებო კონცერნი, დე-ფაქტო კონცერნი და კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი. ყველა მიმართულებას საკუთარი მოქმედებისა და რეგულირების არეალი აქვს და თავის მხრივ განსხვავებულად არეგულირებს კორპორაციათა ურთერთქმედებას ერთმანეთზე.

ასევე ნორმატიულ დონეზეა დარეგულირებული კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დელიქტური საფუძველი და ის მოხსენებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფში.

1.1 საკონცერნო სამართალი

კორპორაციული ჯგუფი თავის თავში გულისხმობს, ისეთ კორპორაციულს სტრუქტურას, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე კორპორაცია. კორპორაციული ჯგუფის აღსანიშნავად გერმანიაში გამოიყენება ტერმინი კონცერნი.⁹¹

საკონცერნო სამართალი არეგულირებს, დაკავშირებულ საწარმოთა პასუხისმგებლობის საკითხს, ნახსენები სამართლის კოდიფიკაცია გერმანიაში მოხდა 1965 წელს (konzernrecht).⁹²

კონცერნის მიხედვით, თუ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა კომპანიათა ჯგუფის ფარგლებში, დედა კომპანიის პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება კონცერნის მარეგულირებელი იმპერატიული ნორმები, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის სააქციო კანონში.⁹³

კონცერნი სახეზეა, თუ არსებობს მაკონტროლებელი (დედა) კომპანია და კონტროლირებადი (შვილობილი) კომპანიები, ხოლო კონტროლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ეჭვქვეშ დგება კონტროლირებადი კომპანიების დამოუკიდებლობა და მათი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა. აღნიშნული თეორია აზრობრივად ახლოს არის ალტერ ეგოს პრინციპთან, რადგან ორივე შემთხვევაში სწორება გაკეთებულია დამოუკიდებელ საბართალსუბიექტობის გაქრობასთან, რაც ხდება შემდგომში

⁹¹ მაჭავარიანი, კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართ კერძო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2015, 12.

⁹² თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 76

⁹³ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1392-83

კორპორაციული საფარველის გაქოლვის წინაპირობა, მაგრამ განსხვავებით ალტერ ეგოს თეორიისა საკონცერნო სამართლის მიზანია, ჯგუფის ინტერესების დაბალანსება კრედიტორებისა და ჯგუფის ინდივიდუალური აქციონერის ინტერესების მიმართ.⁹⁴

კამჭოლი პასუხისმგებლობისა და კონცერნის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, ურთიერთობის დარეგულირება ხორციელდება საკონცერნო სამართლით. კონცერნის დროს დავის გადაწყვეტა არ ხდება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, გერმანიის საკონცერნო სამართალში არსებული ნორებით. რასაც ხშირ შემთხვევაში განსხვავებულ გადაწყვეტილებამდე მიყვავართ, გამომდინარე იქიდან, რომ კონცერნის შემთხვევაში კამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველები განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული და განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვენ.

1.1.1 სახელშეკრულებო კონცერნი

კონცერნს მრავალი სახე გააჩნია, მათგან ერთ-ერთი სახელშეკრულებო კონცერნია (vertragskonzern). სახელშეკრულებო კონცერნის ყველაზე გავრცელებული ფორმებია დომინირების „Beherrschungsvertrag“ და მოგების გადაცემის ხელშეკრულებები. გამომდინარე ხელშეკრულების ფორმების სხვაობიდან, განსხვავდება მათზედ მოქმედი ეკონომიკური და სამართლებრივი წესები და ნორმები, შესაბამისად განსხვავდება მათ მიერ გამოწვეული სამართლებრივი შედეგები.⁹⁵

დომინირების ხელშეკრულება „Beherrschungsvertrag“ თავის თავში გულისხმობ, კორპორაციის დასტურს იმის შესახებ, რომ დედა კომპანია

⁹⁴ Emerich and Hubersack. Note 78. ასევე Klaus J. hopt, Groups of Companies: A xomparative Study of the Economics, Law, and Regulation of Corporate Groups, in the Oxford Handbook of Corporate Law and Governance, Jeffrey N. Gordon and Wolf-Georg Ring eds. 2017.

⁹⁵ Vandekerckhove K., Piercing the Corporate Veil, European Company Law, Vol.4, Issue 5, 2007, 192

განახორციელებს მის კონტროლს. შესაბამისად კრედიტორი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ დედა კომპანიის მიერ კონტროლირებადი ცორპორაცია გამტარებელია არა მხოლოდ საკუთარი ინტერესის არამედ მაკონტროლებლისაც, ისე რომ არ დაზიანდეს კონტროლირებადი კომპანიის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და სიცოცხლისუნარიანობა.⁹⁶

მოგების გადაცემის ხელშეკრულების შემთხვევაში, კონტროლირებადი კომპანია ვალდებულია გადასცეს მაკონტროლებელს მისი მოგება.⁹⁷

ორივე ხელშეკრულების პირობებში მაკონტროლებელი ვალდებულია აანაზღაუროს კონტროლირებადი კორპორაციის წლიური ზარალი, რისი უზრუნველყოფაც მიიღწევა მაკონტროლებლის მიერ სახსრების რეზერვის შექმნით.⁹⁸

1.1.2 დე-ფაქტო კონცერნი

კორპორაციები რომლებიც ფაქტობრივად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ არ გააჩნიათ საკონცერნო ხელშეკრულება, დე-ფაქტოდ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი.⁹⁹ არსებული ურთიერთობა რეგულირდება სააქციო საზოგადოების კანონის იმპერატიული წესებით, ¹⁰⁰რომელიც ავალდებულებს დედა კორპორაციას , აანაზღაუროს

⁹⁶ Schiessl M., The Liability of Corporation and Shareholders for the Capitalization and Obligation of Subsidiaries under German Law, *Northwestern Journal of International Law & business*, vol 7, Issue 3, 1986,497.

⁹⁷ Singhof, *Equilty Holders' Liability for Limited Liability Companies' Unrecoverable Debtsreflection on Piercing the Corporate Veil under German Law*, 22 *Loyal of los Angeles Int & Comp. Law* 143. 199. 165.

⁹⁸ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ98

⁹⁹ Vandekerckhove K., *Piercing the Corporate Veil*, *European Company Law*, Vol.4, Issue 5, 2007, 192

¹⁰⁰ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 77

შვილობილი კორპორაციის დანაკარგი თუ ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო დედა კორპორაციის ქმედებით, კერძოდ კი ტრანზაქციებით. ხელშეკრულების არარსებობისას მაკონტროლებელი კორპორაციების დირექტორატი ვალდებულია წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც განხილული იქნება კონტროლირებადი სუბიექტზე დავალებული ყველა ტრანზაქცია. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მომზადდეს დასკვნა, იყო თუ არა არსებული მოქმედება საზიანო აფელირებული ცორპორაციისთვის.

რადგან დე-ფაქტო კონცერნისას მხარეების უფლებამოსილებები დეტალურად არ არის გაწერილი კანონის იმპერატიული ნორმები განზაზღვრავენ, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ კონტროლირებად კორპორაციას, რომელმაც უნდა დაასაბუთოს მაკონტროლებლის მიერ დავალებული ტრანზაქციებით დამდგარი ზიანის რეალურობა.¹⁰¹

აღნიშნულის დადასტურება საკმაოდ რთლია, რომ კონკრეტულმა ტრანზაქციამ იყო არახელსაყრელი და მან გამოიიწვია კორპორაციისთვის მატერიალურად თუ არამატერიალურად მძიმე შედეგი. სწორედ ამიტომ, კომენტატორები მიიჩნევენ, რომ მტკიცების ტვირთის შვილობილ კომპანიაზე დაკისრება ნაკლებად ეფექტიანს ხდის დე- ფაქტო კონცერნის სამართლებრივ მნიშვნელობას.¹⁰²

1.1.3 კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი

¹⁰¹ Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law- Liability of individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7. Int. L. 187, 238-38

¹⁰² Altling C., Piercing the Corporate Veil in America and German Law- Liability of individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law, Vol.2 Issue 2, 1995, 238.

გამომდინარე იქიდან, რომ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა კანონი არ მოიცავდა დახურულ კორპორაციებსა და საზოგადოებებს, გერმანულმა სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს იმგვარი პასუხისმგებლობის ფორმა, სადაც შვილობილ კორპორაციას წარმოადგენდა დახურული საზოგადოება, ხოლო დედა კორპორაცია, ღია საზოგადოებას. ნახსენები პასუხისმგებლობა გერმანიის სასამართლომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საკონცერნო სამართლის ფარგლებში ჩამოაყალიბა და კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი უწოდა.

გარდა ტექნიკური ხასიათის განსხვავებისა დე-ფაქტო კონცერნსა და კვალიფიციურ დე-ფაქტო კონცერნს შორის, არის აზრობრივი და ფორმალური განსხვავებებიც. კერძოდ კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნისას, ყურადღება ექცევა იმას, ახორციელებდა თუ არა მაკონტროლებელი ექსპლიციურ კონტროლს შვილობილ კორპორაციაზე,¹⁰³ ხოლო დადასტურების შემთხვევაში მოქმედებდა პრეზუმცია, რომლის თანახმად კონტროლის გამოყენება თავისთავად ნიშნავდა ზიანის მიყენებას კორპორაციისთვის. გამომდინარე აღნიშნულიდან სპეციფიკური ზიანის დასაბუთების აუცილებლობა არ არსებობდა.¹⁰⁴

გერმანიის სასამართლომ 2001 წელს კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის დოქტრინა გააუქმა და კომპანიათა ჯგუფის პასუხისმგებლობის შესახებ ჩამოაყალიბა ახალი მიდგომა „Bremer vulkhan”.¹⁰⁵

ახალი მიდგომის მიხედვით, სასამართლომ გადაწყვიტა აღარ გამოეყენებინა ანალოგიის წესით სააქციო კანონში გათვალისწინებული

¹⁰³ Graefe, changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in German, 37 Conn. L. Rev. 785,2005,790.

¹⁰⁴ Miller, Piercing the Corporate Veil Among Affiliated Companies in European Community and the U.S : a Comparative Analysis of U.S., German, and U.K Veil-Piercing Approaches, 36 Am. Bus. L.j. 73,1998, 106.

¹⁰⁵ Graefe, changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in German, 37 Conn. L. Rev. 785,2005,800

ნორმები კონტროლირებად შ.პ.ს-ებზე. რაც შემდგომში ორი გადაწყვეტილებით განამტკიცა (Bremer vulkhan II და KBV).¹⁰⁶

2007 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ სრულებით შეცვალა მიდგომა და დაადგინა შემდეგი, პარტნიორისგან ე.წ „გამანადგურებელი ჩარევის“ ფაქტი განისაზღვროს, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი,¹⁰⁷ ასევე განმარტა, რომ მოთხოვნა ეკუთვნის მხოლოდ კორპორაციას და კრედიტორი არაა უფლებამოსილი მაკონტროლებელს თავად მოთხოვოს ზიანი, დაუშვებელია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, ასევე მითითება მოხდა გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ხასიათზე და განიმარტა, დაუშვებელია გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება, თუ შესაძლებელია მოთხოვნა დაკმაყოფილდეს სხვა სამართლებრივი საფუძველით.¹⁰⁸

1.2 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა დელიქტური პასუხისმგებლობისას (გერმანიის სამართლის მიხედვით)

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი მიიჩნება მატერიალური არასათანადო კაპიტალიზაციისთვის პასუხისმგებლობის საფუძველად¹⁰⁹. ასევე 826-ე პარაგრაფის თანახმად, პირი, რომელიც ზნეობრივ კერძო და საჯარო (schutzgesetz) ნორმებს დაარღვევს და განზრად მიაყენებს სხვა ადამიანს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.¹¹⁰

¹⁰⁶ ზუბიტაშვილი, ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ. 100

¹⁰⁷ Zhen Qu, Ahl, Lowering the Corporate Veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford U. Comparative L.

¹⁰⁸ Zhen Qu, Ahl, Lowering the Corporate Veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford U. Comparative L. Forum 4, 2008, 6.

¹⁰⁹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 141.

¹¹⁰ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 649.

აღნიშნული პარაგრაფი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას დელიქტური ზიანისთვის, რომელიც გამოწვეული არის წინასწარი შეცნობით განზრახი მოქმედებით და რომელიც ზიანს. გაბატონებული მოსაზრების თანახმად აღნიშნულ არამართლზომიერ ქმედებაში მოიაზრება ქმედება რომელიც არღვევს ეკონომიკურ და სამართლებრივ წესრიგს.¹¹¹

აღნიშნულის გარდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არღვევს სხვა პირის ინტერესების დაცვისთვის მიმართულ კანონს.¹¹²

826-ე პარაგრაფის გამოყენების საფუძველს გამჭლი პასუხისმგებლობისას წარმოადგენს პარტნიორის განზრახვის ჩვენება.¹¹³ მაგრამ სასამართლოში აღნიშნული დასაბუთება არ გამოიყენება კლასიკური სახით, მოსამართლემ შესაძლებელია შეამსუბუქოს მტკიცების ტვირთი და არსებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გამოიყენოს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი.¹¹⁴

თუკი დელიქტური პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორების მიმართ, ისინი არსებული ზიანის გამო პასუხს აგებენ სოლიდარულად. მაგრამ შიდასამართლებრივად პარტნიორებს პასუხისმგებლობა შეიძლება გადაუნაწილდეთ წილობრივად ან პირადი შეთანხმების საფუძველზე წილობრივი თანამონაძილეობაც შეიძლება უგულებელყოფილ იქნას.¹¹⁵

გერმანიის სასამართლოებმა სხვადასხვა პრაქტიკა განავითარეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის 826-ე მუხლთან მიმართებით. ერთი მხრივ გერმანიის საიმპერატორო დაადგინა , რომ დელიქტისმიერი პასუხისმგებლობის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს გარემოება,

¹¹¹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007,141

¹¹² ზუბიტაშვილი,ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ135.

¹¹³ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil:A Transnational approach, Catholic University of leuven Legal Faculty,2007,115.

¹¹⁴ Bundesgerichtshof, ZIP 6994, (1992); Bundesgerichtshof, AG,244,1989.

¹¹⁵ ზუბიტაშვილი,ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან,2016,გვ135.

როდესაც კორპორაციის კაპიტალი შეუსაბამოდ არის შევსებული, ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე და ნახსენები მდგომარეობა განზრად არის შექმნილი პარტნიორების მიერ, რათა კრედიტორები კორპორაციის გაკოტრებისას დაუცველნი ყოფილიყვნენ.¹¹⁶

მეორე მხრივ გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 826-ე მუხლი ირღვევა მშინ, როდესაც სიცოცხლისუნარო კორპორაციის პარტნიორი მიანც აგრძელებს ბიზნესოპერაციების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებს ვალდებულებების დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობას.¹¹⁷

პარტნიორები ასევე გახდებიან პასუხისმგებელნი მიყენებულ ზიანზე თუ ისინი გადადებენ, გაკოტრების შესახებ განცხადების შეტანას, იმ მიზნით, რომ კრედიტორების ხარჯზე გაზარდონ გაკოტრების პირას მყოფი კომპანიის კაპიტალი.¹¹⁸

დელიქტური ნორმის საფუძველზე მოთხოვნის უფლება ეკუთვნის პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი არამართლზომიერი მოქმედებით.¹¹⁹

1.3 “Culpa in Contrahendo-ს” დოქტრინა

¹¹⁶ Schiess M., The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, *Northwestern Journal of International Law & Business*. Vol. 7, Issue 3, 2986, 492.

¹¹⁷ Bundesgerichtshof, W, Ger., WM 460,462 (1957), Bundesgerichtshof W.ger., NJW 2104 (1978) სატიამო: Schiessl M., The Liability of Corporation and Shareholders for the Capitalization and Obligation of Subsidiaries under German Law, *Northwestern Journal of International & Business* Vol.7, Issue 3, 1986,492.

¹¹⁸ Bundesgerichtshof, W, Ger., WM 460,462 (1957), Bundesgerichtshof W.ger., NJW 2104 (1978) სატიამო: Schiessl M., The Liability of Corporation and Shareholders for the Capitalization and Obligation of Subsidiaries under German Law, *Northwestern Journal of International & Business* Vol.7, Issue 3, 1986,492

¹¹⁹ ზუბიტაშვილი.ნ, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, გვ.136.

გერმანიაში დედა კორპორაციების პასუხისმგებლობის საკითხს მხოლოდ „კონცერნი არ განსაზღვრავს, კონკრეტულ შემთხვევებში მაკონტროლებელი კორპორაციების პასუხისმგებლობის საკითხი დგება “Culpa in Contrahendo-ს” დოქტრინის საფუძველზე. აღნიშნული დოქტრინა მოქმედებს მაშინ, როდესაც დედა კორპორაცია არსებითად ერევა კონტროლირებადი კორპორაციის მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულების მოლაპარაკებებში, კერძოდ იმდენად არის ჩართული „ოფერტის“ გაგზავნისა თუ „აქცეპტის“ მიღების პროცესში, რომ მცდარ წარმოდგენებს ქმნის ანმნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აღნიშნულ პროცესზე.¹²⁰

Culpa in Contrahendo-ს ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს აგენტის პასუხისმგებლობა. ამ დროს აგენტს, შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ მისი ინტერესი კონტრაქტის გაფორმებისას ძალიან მაღალია, ან მეორე მხარე დიდ ნდობას ავლენს მის მიმართ.¹²¹ გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ პარტნიორი მონაწილეობს კონტრაქტის გაფორმებაში, მან აუცილებლად უნდა ამცნოს ხელშემკვრელ მხარეს კომპანიის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), სხვაგვარად გაკოტრებულ კრედიტორს შეუძლია პარტნიორს წაუყენოს საკუთარი მოთხოვნა.¹²² კომენტატორების აზრით ამგვარი გადაწყვეტილებები მისაღებია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პარტნიორი შესაძლებელია მოქმედებდა კომპანიის საუკეთესო ინტერესებისთვის, და ობიექტურად იაზრებდა ამას.¹²³ აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ თუ პარტნიორი მოქმედებდა თუ პარტნიორი მოქმედებდა

¹²⁰ Vandekerckhove K., Piercing the Corporate Veil: A Transnational Approach, Catholic University of leuven Legal Faculty, 2007, 383.

¹²¹ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 75

¹²² Bundesgerichtshof, W, Ger., WM 460,462 (1957), Bundesgerichtshof W.ger., NJW 2104 (1978) სატიამო: Schiessl M., The Liability of Corporation and Shareholders for the Capitalization and Obligation of Subsidiaries under German Law, Northwestern Journal of International & Business Vol.7, Issue 3, 1986,492

¹²³ თ. მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში სამართლის ჟურნალი N2 2018წ. 75

კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის, რაც ნიშნავს, პარტნიორის მიერ კორპორაციის იმგვარ მართვას, როგორც ის მართავდა თავის პირად ქონებას, “Culpa in Contrahendo-ს” დოქტრინის გამოყენება არ მოხდებოდა პარტნიორისადმი.¹²⁴

2. შუალედური დასკვნა

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სპეციალური მოწესრიგება გერმანიაში რამდენიმე სახით ხდება. საკონცერნო სამართალი აწესრიგებს დედა-შვილობილი კორპორაციის კერძოსამართლებრივ ურთერთებას. რაც გამოიხატება მაკონტროლოლებელზე შვილობილი კომპანიის ვალდებულებების გადაცემით. აღნიშნული, ეფექტური საშუალებაა კორპორაციის მიერ არაკანონიერი მოქმედების პრევენციისა, შესაძლებელია ეს მოქმედება ჩაითვალოს კორპორაციის შიდასამართლებრივ ურთერთებაში ჩარევად და მაკონტროლებლის მიერ კონტროლის მექანიზმის გართულებად, მაგრამ მრავალწლიანმა გერმანულმა პრაქტიკამ აჩვენა საკონცერნო სამართლის ეფექტურობა და მისი არსებობის აუცილებლობა. კონცერნის დანაწილება სახელშეკრულებო, დე-ფაქტო და კვალიფიციურ დე-ფაქტო კონცერნად, ნორმების განვითარების სწორი გაგრძელებაა, მათი საშუალებით კონცერნმა მაქსიმალურად და უმტკივნეულოდ მოიცვა დედა-შვილობილი კორპორაციების სამართლებრივი ურთერთობა.

დელიქტური პასუხისმგებლობისას კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, ის შემთხვევაა რომლის აღმოფხვრა ფაქტობრივად შეუძლებელია,

¹²⁴ Bundesgerichtshof, W, Ger., WM 460,462 (1957), Bundesgerichtshof W.ger., NJW 2104 (1978) სატიაში: Schiessl M., The Liability of Corporation and Shareholders for the Capitalization and Obligation of Subsidiaries under German Law, Northwestern Journal of International & Business Vol.7, Issue 3, 1986,492

სანამ იარსებებს დანაშაული და არაკანონიერი მოქმედება, იქამდე იარსებებს დელიქტის საფუძველზე კორპორაციული საფარველის გაქოლვის საფუძველი. აღნიშნულის რეგულირება გერმანიაში ხდება როგორც იმპერატიული ნორმით ასევე სასამართლო პრაქტიკით რაც წარმოადგენს საუკეთესო შეხამებას, საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი დაეთმო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო ნორმას „გამწოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინას საქართველოსა და გერმანიის სამართლის სიტემაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვიხილეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის რაობა, მისი მიმართება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან და მისი ეკონომიკური გამართლება, რადგან გამჭოლი პასუხისმგებლობის სამიზნე სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმაა. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულის ფორმირებასა და ჩამოყალიბებას საუკუნეები დასჭირდა, დროთა განმავლობაში მისი აქტუალობა საკმაოდ გაიზარდა და მოთხოვნადი გახდა. საბოლოო ჯამში კი, თანამედროვე სამყაროში შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. აღნიშნული გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საზოგადოებისთვის საკმაოდ მიზიდველი იყო კრედიტორებისგან საკუთარი ქონების დაფარვა და ხელოვნურად შექმნილ დამოუკიდებელ სამართალსუბიექტზე ამოფარება.

შეზღუდული პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის ერთად ხსენებისას უნდა გავიაზროთ ის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა არ განსაზღვრავს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, რადგან ამხანაგური ტიპის საზოგადოებებიც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტები არიან. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით არის მისი ეკონომიკური გამართლება, რაც საკმაოდ თვალსაჩინოა. რადგან ნებისმიერი დიდი წარმოება აღნიშნული ფორმის ქვეშ მიმდინარეობს, რაც საფუძველია იმისა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ეკონომიკური კეთლდღეობა ვადიართ როგორც თავად კორპორაციისთვის ასევე, მის გარშემო მოქმედი ნებისმიერი სუბიექტისთვის, იქნება ეს სახელმწიფო, კერძო მომხმარებელი თუ სხვა.

რა თქმა უნდა შეზღუდული პასუხისმგებლობას არ გააჩნია მხოლო დადებითი მხარე, ხშირ შემთხვევაში მას ბოროტად იყენებენ, რაც საფუძველი გახდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჩამოყალიბებისა. აღნიშნული ფორმის ბოროტად გამოყენება პირველ რიგში კრედიტორებზე მოქმედებს. გამჭოლი პასუხისმგებლობის ფორმირებამ კრედიტორთა სახეობად დაყოფა გამოიწვია, რაც გამოწვეული იყო, იმით, თუ რა სახით ან რა ფორმით ხდებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება.

გამომდინარე იქიდან, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენდა საგამონაკლისო შემთხვევას, აუცილებელი გახდა მისი მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დოქტრინის გამოყენება მოხდებოდა არა საგამონაკლისოდ, რაც სავალალო შედეგს იქონიებდა როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობის პრინციპზე ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმაზე. შესაბამისად ნახსენები დოქტრინის მიზნად გამოიკვეთა შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა და არა თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის შესუსტება.

გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნის სწორად აღსასრულებლად, აუცილებელი გახდა დოქტრინის გამოყენების საფუძვლების ჩამოყალიბება. თუ რომელი საფუძველი დაასაბუთებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას და რა ფორმით. ინსტრუმენტალობისა და ალტერ ეგოს თეორიებმა მაშინვე ჰპოვეს ადგილი სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში მათი უნივერსალურობის და გამო, მაგრამ მხოლოდ არსებული თეორიები არ გახდა საკმარისი ყველა შესაძლო შემთხვევაზე მოსარგებად. შესაბამისად სამართალმა განავითარა სხვა საფუძვლებიც რომელშიც გამოხატული იქნებოდა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები. დეკაპიტალიზაცია კორპორაციის ქონების აღრევა ჩაითვალა იმ წინაპირობად დასაბუთების შემთხვევაში გამოიწვევდა პარტნიორის პირად ქონებაზე გადასვლას.

მტკიცების ტვირთი, ყველაზე რთული ნაწილია გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კრედიტორის მიერ საკმაოდ რთულია ამტკიცოს იმ გარემოებებზე, რომელზეც სასამართლომდე ხელი არ მიუწვდებოდა, რადგან ხშირ შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება წინასწარ არის განზრახული და კარგად მოფიქრებული, შესაბამისად მოკლე დროში თითქმის შეუძლებელია იმ სქემის გაშიფვრა რაც არაკეთილსინდისიერ პარტნიორებს ჰქონდათ მოფიქრებული. ამიტომ გერმანიის სასამართლომ გარკვეულ შემთხვევებში შუმსუბუქა კრედიტორს მტკიცების ტვირთი, რამაც მეტად ეფექტური გახდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ობიექტური გამოყენება.

რაც შეეხება საქართველოში მტკიცების ტვირთთან დამკვიდრებულ პრაქტიკას, მხოლოდ კრედიტორია ვალდებული ამტკიცოს ყველა ფაქტობრივი გარემოება გამჭოლი პასუხისმგებლობის არსებობისა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014 ნათელი მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია მტკიცების ტვირთის შემსუბუქება

კრედიტორისთვის, რადგან სასამართლო იძულებული გახდა თავად გადაეკვალიფიცირებინა სამართლებრივი მოთხოვნა და თავადვე განემარტა როგორც ბოროტად გამოყენების არსი ასევე ასევე მისი გამოყენების საფუძვლები.

გერმანულმა სამართალმა ნათლად აჩვენა, რომ მიუხედავად უნაკლო სასამართლო პრაქტიკისა, აუცილებელია გარკვეული საკორპორაციო ურთიერთობების სპეციალური, იმპერატიული ნორმებით მოწესრიგება, რაც გამოიხატა საკონცერნო სამართლის არსებობაში და მის ეფექტურობაში. ასევე დელიქტური პასუხისმგებლობისას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლზე მითითებით და მისი განმარტებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და გერმანიის სამართლის შედარებისას (გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში) გამოიკვეთა ეროვნული სამართლის სისტემის რამდენიმე ხარვეზი. გამჭოლი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები მწირია ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც საჭიროებს გამოსწორებას და წამყვანი ქვეყნების სამართლის სისტემასთან ჰარმონიზაციას ისე, რომ არ დაზიანდეს კერძო სექტორის ინტერესები. აღნიშნული იმიტომ გახდა საჭირო, რომ თემის არარსებობისა და საზოგადოების მიერ მისი უგულებელყოფის გამო ვერ ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკა, რომელიც წინაპირობა იქნებოდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარებისა.

აღნიშნული დოქტრინის განვითარება საქართველოში, წინაპირობა იქნება კრედიტორების ობიექტური დაცვისა არაკეთილსინდისიერი პარტნიორებისგან, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვისა, რაც წინაპირობაა განვითარებული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჭანტურია ლ., კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996.
- ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002
- ბურდული ი., სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007.
- მახარობლიშვილი გ., მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2012
- ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016.
- ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე სა-კორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ელიზბარაშვილი ნ. (რედ.), თბ.
- ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბ., 2010
- მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბ., 2015.
- მახარობლიშვილი გ., კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited Liability) და კორპორაციის საფარვლით (EntityShielding) დაცულობა, საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016
- ჭანტურია ლ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადოდარღვევისათვის — სამოსამართლო სამართალში გამჭოლი

პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლოპრაქტიკაში, ზარანდია თ. (რედ.), თბ., 2016.

- ჭანტურია ლ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარ-ღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია —75, თოდუა ნ. (რედ.), თბ., 2016.
- თ.მგელაძე პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში. სამართლის ჟურნალი N2 ი.ბურდულის რედაქტორობით 2018.
- ე.რუხაძე რ.დეკანოსიძე გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის უარყოფის საფუძველი სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები დეკემბერი N6 2016
- პარტნიორის პასუხისმგებლობა, ქროფი ბრუნო, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003,
- კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, გულაშვილი ნიკოლოზ, საკორპორაციოს სამართლის კრებული I
- საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის ნინო ბაქაძური მარტინ გელტერი ლაშა ცერცვაძე გიორგი ჯუღელი რედაქტორი - ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ლაშა ცერცვაძე LL.M.,MLB

გამოყენებული ლიტერატურა უცხო ენაზე

- Uniform Limited Liability Company Act, 12/07/1995.
- Altling C., Piercing the Corporate Veil in American and German Law — Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative and International Law.
- Bakst D. S., Piercing the Corporate Veil for Environmental Torts in the United States and the European Union: The Case for the Proposed Civil Liability Directive, Boston College International and Comparative Law Review
- Freedman J., Limited liability: Large Company Theory and Small Firms, The Modern Law Review

- Görtz M., The Federal Court of Justice's Concept for Piercing the Corporate Veil due to Destruction of a German Limited Liability Company, Client Newsletter, № 9, 2007, 1.
- Stubbs L., Undercapitalization as an Independent Ground for Shareholder Liability: The Case for Corporate Stakeholders, Dalhousie University Halifax, Nova Scotia, August, 2016, 79.
- Schiessl M., The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, Northwestern Journal of International Law & Business
- Stefan H C Lo, Piercing of the Corporate Veil for Evasion of Tort Obligations, 2017
- Aktiengesellschafts Gesetz, 01/11/1937.
- Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 01/01/1900.
- Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, 20/04/1892, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gmbhg/>.
- Vandekerckhove K., Piercing the Corporate Veil, European Company Law, Vol. 4, Issue 5, 2007
- Bakst D. S., Piercing the Corporate Veil for Environmental Torts in the United States and the European Union: The Case for the Proposed Civil Liability Directive, Boston College International and Comparative Law Review
- The Birth of the Limited Liability Company (LLC) By Jennifer Reuting.
- Richards D. piercing the corporate veil: supreme court clarifies the English law position 2013.

ნორმატიული მასალა ქართულ ენაზე

- საქართველოს კონსტიტუცია
- მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სასამართლო გადაწყვეტილებები

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1158-1104-2014
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1307-1245-2014
- Salomon v A Salomon & Co Ltd [1897] AC 22
- Booth v. Bunce, 33 N.Y. 139
- Bundesgerichtshof, W. Ger., 45 BGHZ 204 (1966)
- DHN Ltd v Tower Hamlets 1 WLR 852, Lord Denning MR14 (1976);
- Adams v Cape Industries plc, BCC 786, 822 (1990).

გამოყენებული ინტერნეტ საიტები

- www.barristers.ge
- www.bm.ge
- www.sciencedirect.com
- www.scopus.com
- www.germanbusinesslaw.de
- www.jl.tsu.ge
- press.tsu.ge/
- matsne.gov.ge/
- www.supremecourt.ge/

- tcc.court.ge/
- www.elsevier.com/